ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 20 ოქტომბერი, 2021 №197 (8726) ფასი: 60 თეთრი

## ანასტასია შატალოვას მკვლელობის საქმეზე 3 პირი დააკავეს

მკვლელობისთვის ბრალი ბექა ლატარიას წაუყენეს

**დაკავებისას პოლიციას ხელყუმბარა ესროლეს**

გვ.5

# „კალაძე, გახარიას ხმებს ემათხოვრები? „კოკაინშიკის“ ხმები დაგჭირდათ?!“

გვ.3

## დავით ჭიჭინაძე: „ქართული ოცნება“ ველარ იქოქება“

## „მიხეილ სააკაშვილის გასათავისუფლებლად ოთხი გზა არსებობს“

გვ.3

რომან გოცირიძე: „ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა მოუღებს ბოლოს „ქართული ოცნების“ მმართველობას“

## „თუ ასე გაგრძელდა, სიტუაცია იფეთქებს — არ ვიცი, მას რევოლუციას დავარქმევთ თუ სამოქალაქო დაპირისპირებას“

გვ.2

## დავით დარჩიაშვილი: „ივანიშვილი ასეთია, მას უყვარს ოპონენტების დემონიზაცია“

## „ოცნება“ პოლიტპატიმრების თემას თავისთვის შესანიშნავად იყენებდა“

ლევან ჩაჩუა: „პროცესებს დღესაც ივანიშვილი მართავს თავისი შუშის სასახლიდან“

გვ.4

## მელიამ კალაძე დებატებში გამოიწვია

კალაძემ დებატებზე უარი თქვა



გვ.2

გვ.2

## „რუსეთის სამხედრო აგრესიის დროს ამერიკა საქართველოს არ მიატოვებს“

ვახტანგ მაისაია: „ოსტინმა წითელი ბარათი მისცა საქართველოს 3+3 ფორმატში მონაწილეობაზე. ეს იყო ერთგვარი გაფრთხილება და მესიჯი, რომ უფრო მეტად გავერკვეთ, რა საგარეო-პოლიტიკურ კურსს ვავითარებთ“

ISSN 1987-9385

2 ღარიბაშვილი: „სააკაშვილი პროფესიონალი სიმულიანტი და აფერისტია

5 გურჯაანში 71 წლის ალექსანდრე ზარდიაშვილმა ცოლ-ქმარი თოფით მოკლა „მკვლელი მოკლულების უახლოესი ნათესავია“

5 ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღებისთვის სანქციები მკაცრდება

6 ლატვია სკოლებს და მაღაზიებს ხურავს და კომენდანტის საათს აწესებს

# „თუ ასე გაგრძელდა, სიტუაცია იფეთქებს — არ ვიცი, მას რევოლუციას დავარქმევთ თუ სამოქალაქო დაპირისპირებას“

## დავით დარჩიაშვილი: „ივანიშვილი ასეთია, მას უყვარს ოპონენტების დემონიზაცია“

იაგო ნაცვლიშვილი

**რატომ ცდილობს „ქართული ოცნება“, რომ შერიგების ნაცვლად დაპირისპირების გზით წავიდეს? ხომ არ ცდილობენ დასავლეთთან კიდევ მეტ დისტანცირებას? რამდენად თანმიმდევრულია ოპოზიცია და არსებობს თუ არა რევოლუციური სცენარის შესაძლებლობა? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, ყოფილი პარლამენტარი დავით დარჩიაშვილი საუბრობს.**

***– „ქართული ოცნების“ პოლიტიკა უფრო და უფრო დაპირისპირებისკენ არის მიმართული. სისხლიანი ბანერები შეცვალეს ვიდეოკლიპით, სადაც ქვეყნის მესამე პრეზიდენტი ნეგატიურ კონტექსტშია წარმოჩენილი. მუშაობს ასეთი რაღაცები და რას ცდილობს ამით ხელისუფლება?***

– თქვენი კითხვა ლოგიკურია, საბოლოო ჯამში, ეს უნდა იყოს კონტრპროდუქტიული, მაგრამ ერთია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სხვა მეთოდი არ იცის. ამ მეთოდიკით დაიწყო მან და გააგრძელა მთელი ამ საარჩევნო ციკლების დროს, რაც კი 2012 წლიდან 2021 წლამდე მომხდარა. სხვა გამოცდილება მას არ გააჩნია, სხვანაირად ის არ არის და, როგორც ჩანს, ვერც იქნება. თავად ივანიშვილიც ეგეთია, მას უყვარს ოპონენტების დემონიზაცია, მათი გასრესვის მცდელობა, ის ასე გაიზარდა. გარკვეულწილად ის კრიმინალურ კულტურასთან არის კავშირში.

მეორე ის არის, რომ ცდილობენ თავისი ბირთვული ელექტორატის მობილიზებასა და გამხნევებას.

***– რადიკალურ ამომრჩეველს რომ ვეძახით?***

– კი, მათი ბირთვი ვინც არის. ასეთი გამოთქმა არსებობს – ბირთვული ელექტორატი. მათ თვალში, მათ გამოცდილებას საკუთარი მომხრეების სურვილს, მობილიზების სურვილს და ა. შ. ვერ წონის დასავლეთის შეგონებები და სამოქალაქო ჯგუფების შეშფოთება, ამაში ვგულისხმობ არა მაინცდამაინც ოპონენტებს, არამედ სამოქალაქო ჯგუფებს. მათ სხვანაირად არ შეუძლიათ და სხვანაირად არ ძალუძთ.

***– დასავლეთთან უფრო და უფრო დისტანცირებას ხომ არ ცდილობენ და ამის დემონსტრირება ხომ არ იყო დასავლელი პოლიტიკოსების განცხადებაზე „ოცნების“ ლიდერების კომენტარები? ვნახეთ კობახიძის და ღარიბაშვილის ეპითეტები და ის აქეთკენ არ არის მიმართული? თქვენი გადმოსახედიდან როგორ ჩანს?***

– ჩემი გადმოსახედიდან ის არის, რომ ზოგიერთი მათგანისთვის დასავლეთი არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს, გარდა წმინდა მატერიალურისა. ეს დაახლოებით იგივეა, რაც რუსულ ელიტაში, რომ დასავლური ტექნიკა უნდათ, „აიფონები“ და ა. შ. ფულიც უნდათ, მაგრამ დასავლური ღირებულებები – ადამიანის უფლებები, უმცირესობების უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობა და ა. შ. მათ გულს არანაირად არ უთბობთ.

***– ზოგიერთებში პრემიერ-მინისტრსაც გულისხმობთ?***

– რა თქმა უნდა, მასაც ვგულისხმობ. მას განსაკუთრებულად ეტყობა ეს. ზოგი უბრალოდ იძულებული ხდება, რომ ასე მოიქცეს, რადგან შეიძლება კი სურს მეტი დემოკრატია, კი მოსწონს დასავლეთი და ალბათ მეტი ინტეგრაციაც უნდა, მაგრამ ძალაუფლების შენარჩუნება მაინც უფრო ტკბილი რამეა. როცა არჩევანის წინაშე დგება, მას ვერ წარმოუდგენია, რომ დასავლეთში ინტეგრირდეს საქართველო და თავად არ იყოს ხელისუფლებაში. ამის სურვილი არ აქვს და, შესაბამისად, იქცევა ისე, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, მიგვაქანებს რუსეთისკენ.

აგერ ჩამოდის ამერიკის თავდაცვის მდივანი, მას ვხვდებით და ვუღიმით. ის საინტერესო წინადადებებს გვიმზადებს, მაგრამ ჩვენ, ანუ ამ შემთხვევაში ხელისუფლება, პირველ რიგში ფიქრობს იმაზე, რომ აქედან მე რა, და დავრჩები თუ არა ისევ ხელისუფლებაშიო. მე, ჯუანშერ ბურჭულაძე, ისევ ვიქნები თავდაცვის მინისტრი თუ არ ვიქნებიო. მე ეს უფრო მაინტერესებს, ვიდრე თქვენი შავი ზღვის პოლიტიკაო. დაახლოებით ასეთი ლოგიკის ხალხია „ქართულ ოცნებაში“ ჩემი გადმოსახედიდან.

***– რასაც ვხედავთ – სააკაშვილის მიმართ ზიზღით საუბარს, მათ ხომ არ ავიწყდებათ ერთი რამე – ის არის საქართველოს მესამე პრეზიდენტი და რომ ამით მთლიანად ქვეყანას აკნინებენ და არა მარტო სააკაშვილს? პიროვნულ ჭრილში გადააქვთ?***

– ეგ მათთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს – მესამე პრეზიდენტი, მეხუთე თუ პირველი. ისინი ამ ღირებულებებით არ ცხოვრობენ. ისევ და ისევ გავიმეორებ, მათი საზრუნავი არის მათი პირადი მდგომარეობა. არიან ისინი ხელისუფლებაში თუ სუსტდება მათი პყრობა ხელისუფლებისა. ასეთი სიმბოლოები და ღირებულებები მათთვის საუკეთესო შემთხვევაში მეორადია.

***– ამდენი დღეა შიმშილობს სააკაშვილი და ამან რა შეიძლება გამოიწვიოს. მისი მდგომარეობა რომ დამძიმდეს, ეს ქვეყნის იმიჯზე არ იმოქმედებს?***

– რა თქმა უნდა. ყველა შემთხვევაში ასე იქნება – ადამიანურადაც და პოლიტიკურადაც. მაგრამ, ეს ჩვენ თუ გვესმის, არ ნიშნავს, რომ მათაც ასე ესმით.

***– მეორე მხრივ, ოპოზიცია რამდენად თანმიმდევრულია. საუბრობენ საყოველთაო შერიგებაზე, მაგრამ შერიგება შესაძლებელია წარსული შეცდომების კარგად გააზრების გარეშე?***

– გააზრება თვითონ შერიგების პროცესის ნაწილი უნდა იყოს, მაგრამ თუ ხელისუფლება არ არის ამაში მონაწილე და მისგან არ მოდის ასეთი სურვილი, ძალიან ძნელია ამისგან რამე გამოვიდეს. ოპოზიციის შესაძლებლობები ძალიან შეზღუდულია თუკი ხელისუფლება მთელ სახელისუფლებო მანქანას ფლობს, ფულს ფლობს და იქცევა ისე, როგორც იქცევა – საკმაოდ აგრესიულად. ამ დროს ოპოზიციამ უბრალოდ ილაპარაკოს, რომ შევრიგდეთ, შევრიგდეთო და მეტი არაფერი თქვას, ეს კიდევ უფრო გაახელებს მის მოწინააღმდეგეს და დაანახებს, რომ უსუსური და უნიათოა ოპოზიცია. ამიტომ, ოპოზიციაც პასუხობს ისე, როგორც პასუხობს.

ოპოზიცია იძახის, რომ ჩვენ ვართ შერიგების მომხრე, მაგრამ ამისათვის მესამე პრეზიდენტი ნუ გყავს იმ პირობებში, რომელშიც გყავს. კეთილი ინებე და როგორც გინდა უზრუნველყავი, რომ სასამართლო იყოს ობიექტური და დამოუკიდებელი. ამ შემთხვევაში ოპოზიციისა და საერთაშორისო თანამეგობრობის აზრები ემთხვევა ერთმანეთს. როცა ამის პასუხად ვისმენთ იმ განცხადებებს, როგორც პარლამენტში გამოვიდნენ გუშინ და რასაც ლაპარაკობს ღარიბაშვილი, რომ დავამთავრებთო და ა. შ. ამ დროს ხელისუფლება ოპოზიციას არ უტოვებს სხვა გზას, გარდა საპასუხო კონფრონტაციულობისა.

***– რევოლუციური სცენარის შესაძლებლობას როგორ უყურებთ? დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ეს შესაძლებელია?***

– დამოკიდებულებები გარკვეულ ჯგუფებს შორის ისეთია, მე ეს მაფიქრებს, რომ სამოქალაქო ომის საზოგადოებაა. უბრალოდ ამის ძალა თუ ბოლომდე განხორციელების სურვილი მაინცდამაინც არავის არ აქვს, თორემ ასეთ ურთიერთობებში ბოლოს რაღაცა იფეთქებს ხოლმე. დიდი იმედი მაქვს, რომ საერთაშორისო საზოგადოება ბევრად უფრო გააქტიურდება, ამას შედეგი ექნება და აქამდე არ მივალთ. თორემ ამას რევოლუციას დავარქმევთ, სამოქალაქო დაპირისპირებას თუ რას – სავსებით შესაძლებელია. თუ ასეთი ვითარება გაგრძელდა, ადრე თუ გვიან, საკონსტიტუციო ჩარჩოებიდან გავალთ.

# მელიამ კალაძე დებატებში გამოიწვია

## კალაძემ დებატებზე უარი თქვა

ნიკა მელიამ კახა კალაძე ღია დებატებში გამოიწვია.

შესაბამისი განცხადება ნიკა მელიამ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

„კოალიციური პროგრამა და მრავალპარტიული გუნდი თბილისის სწრაფი განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი გახდება.

ამის შესახებ ხვალ დეტალურად ვისაუბრებთ. იქნება ეს 100-ლარიანი დანამატი პენსიაზე, თუ უფასო კვების პროგრამა თბილისის საშუალო სკოლებისთვის, ქალაქის ეკონომიკური განვითარება ან ინფრასტრუქტურა. ყველაფერი, რაც გაცხადდა და ბევრად მეტი დეტალურად ხვალ.

ამის პასუხად, თბილისის მოქმედი მერი, თბილისის პრობლემებზე საუბრის ნაცვლად, ბოლომდე გადაეშვა ზიზღის კამპანიაში, რაც ძალიან სამწუხაროა.

ვთავაზობ ბატონ კალაძეს ღია დებატებს. საჯაროდ გავაცნოთ თბილისელებს ჩვენი გეგმების და მათი პრობლემების გადაჭრის გზები!

ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ეთერში – არა დადგმულ, არამედ რეალურ დებატებში – პირისპირ! ზიზღისა და შეურაცხყოფების გარეშე, ვისაუბროთ ჩვენს დედაქალაქზე, რომელიც პოლიტიკაზე მეტია!“ – დაწერა ნიკა მელიამ ფეისბუქში.

კალაძემ მელიას მიმართვას გუშინ, 19 ოქტომბერს, საღამოს უპასუხა.

– რა თემაზე უნდა ვედებატო მელიას? – იკითხა მან.

კალაძის განმარტებით, იგი ვერ ხედავს ვერანაირ აზრს, დებატებში დაუჯდეს ადამიანს, რომელსაც არანაირი ხედვა და პროგრამა არ გააჩნია.

– მაშინ, როცა მელია დებატებიდან გარბის. მაშინ, როცა სტუდიაში ხულიგნობს და ილანძღება. მაშინ, როცა წინასაარჩევნო კამპანიისას ჩემი ოჯახის შეურაცხყოფით იყვნენ დაკავებულები. მაშინ, როცა არანაირი ხედვა თბილისთან დაკავშირებით და საარჩევნო პროგრამა არ წარმოუდგენიათ, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გაახსენდათ დებატები? რამდენიმე დღის წინ ორი დაპირება გააჟღერეს და ორივე დიდი ტყუილი, – განაცხადა კახა კალაძემ.

# ღარიბაშვილი: „სააკაშვილი პროფესიონალი სიმულიანტი და აფერისტია“

– ის არის ჩვეულებრივი სიმულიანტი, პროფესიონალი აფერისტი კაცი, რომელიც ჯერ გამოდის, რომ ვითომ შიმშილობს, მეორე მხრივ, უნდა, რომ ჩვენ ყველამ ვილაპარაკოთ მის დიეტაზე თუ შიმშილობაზე.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილი არის პატიმარი და ის მინიმუმ 6 წლით მოიხდის სასჯელს.

– ერთი რამ მინდა ვუთხრა ჩვენს საზოგადოებას და მინდა ბოდიში მოვუხადო. გარდა აქტუალური თემებისა, რომელიც ჩვენს მოსახლეობას აწუხებს, გვიწევს პატიმარ სააკაშვილზე ყოველდღე საუბარი. მინდა ჩვენი გუნდის წევრებს ვთხოვო, აღარ გავაკეთოთ სააკაშვილზე კომენტარი.

ბუნებრივია, არჩევნებია და მოსახლეობას უნდა ავუხსნათ, შევახსენოთ რეალობა მჩაგვრელი, მწამებელი და მკვლელი სააკაშვილის მძიმე საქმიანობაზე. ის არის პატიმარი და მოიხდის სასჯელს მინიმუმ 6 წელი. რაც შეეხება სააკაშვილის მოწოდებებს, მასკარადი, შეურაცხმყოფელი ქმედება არის მისი მხრიდან. ცდილობს საზოგადოების მოტყუებას და შეურაცხყოფას აყენებს ჩვენს მოსახლეობას, ის არის ჩვეულებრივი სიმულიანტი, პროფესიონალი აფერისტი კაცი, რომელიც ჯერ გამოდის, რომ ვითომ შიმშილობს, მეორე მხრივ, უნდა, რომ ჩვენ ყველამ ვილაპარაკოთ მის დიეტაზე თუ შიმშილობაზე, ეს არის სამარცხვინო სიტუაცია.

დავამთავროთ ეს არჩევნები და საქმის კეთებაზე გადავიდეთ. ყველას სრული პასუხისმგებლობით ვეუბნები, ამ ქვეყანაში არავის მივცემთ პროვოკაციის მოწყობის საშუალებას, მან ერთხელ უკვე დაანგრია ჩვენი ქვეყანა, მან და მისმა გუნდმა, მელიამ და ყველამ, დაჩაგრეს და აწამეს, გაანადგურეს ჩვენი მოსახლეობა. მეორედ ამის უფლებას არავის მივცემთ, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

# „რუსეთის სამხედრო აგრესიის დროს ამერიკა საქართველოს არ მიატოვებს“

## ვახტანგ მაისაია: „ოსტინმა წითელი ბარათი მისცა საქართველოს 3+3 ფორმატში მონაწილეობაზე. ეს იყო ერთგვარი გაფრთხილება და მესიჯი, რომ უფრო მეტად გავერკვეთ, რა საგარეო-პოლიტიკურ კურსს ვავითარებთ“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**

***– ბატონო ვახტანგ, როგორ აფასებთ ამერიკის თავდაცვის მდივნის ვიზიტს საქართველოში, რომელიც შეხვდა ჩვენს თავდაცვის მინისტრსა და პრემიერ-მინისტრს?***

– ამერიკის თავდაცვის მინისტრის ვიზიტს საქართველოში საკმაოდ დადებითად ვაფასებ. პენტაგონის შეფის ჩამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. მან ჩამოიტანა ძალიან სერიოზული მესიჯები მმართველი ძალისა და ხელისუფლების მიმართ. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ამერიკა გვერდში დაუდგა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, საქართველოს თავდაცვითი ძალების განვითარებისა და იმ სამხედრო-ტექნიკური პოტენციალის აღდგენის საქმეში, რომელიც ჩვენ დავკარგეთ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს.

ეს ყველაფერი ერთი კომპონენტის დონეზე შეიძლება განვიხილოთ და წარმოვაჩინოთ. პენტაგონის შეფი ჩამოვიდა რეგიონული ტურნეს ფარგლებში, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი.

***– თუმცა, აშშ-ის თავდაცვის მდივანი მხოლოდ უკრაინაში, მოლდოვასა და საქართველოში იმყოფებოდა. როგორც ჩანს, განსაკუთრებული მონახაზი და მიზნები იყო ამ ქვეყნებთან დაკავშირებით. საქართველოში მან განაცხადა, რომ აქვს პატივი გამოაცხადოს თავდაცვისა და შეკავების ინიციატივა. როგორ გესმით ეს? რუსეთის შეკავებაზეა საუბარი?***

– დიახ, იგულისხმება რუსეთის აგრესიული ქმედებების შეკავება, განსაკუთრებით, საქართველოს ტერიტორიების განგრძობადი და მცოცავი ოკუპაციის პირობებში, იმ პროცესში, როდესაც რუსეთი ჩვენ ყოველ ნაბიჯზე მუსკულებს გვითამაშებს, სამხედრო პროვოკაციებს ახორციელებს. ინიციატივის მიზანია შავი ზღვის აუზის აკვატორიაში რუსეთის აგრესიული ქმედებების კოლექტიური ძალისხმევის შეკავება.

ეს არის ძირითადი პრინციპი, ნატოში არის ტერმინი „შავი ზღვის უსაფრთხოების განზომილება“, რომელიც თავის დროზე საკმაოდ აქტუალური თემა იყო და ახლაც აქტუალური თემაა. ეს

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კალაძე, გახარიას ხმებს ემათხოვრები? „კოკაინშიკის“ ხმები დაგჭირდათ?!“

## დავით ჭიჭინაძე: „ქართული ოცნება“ ველარ იქოქება“

ნათია ხურცილავა

**პარტია „ტრიბუნას“ თავმჯდომარე, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, მიხეილ სააკაშვილი შიმშილობას აგრძელებს. თუმცა, ცხადია, მუდმივად ვერ იშიმშილებს. ლეტალური შედეგი სავალალო იქნება როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ქვეყნისთვის. თქვენ სად ხედავთ გამოსავალს, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

– დღეს ხელისუფლება საკუთარი უგუნური გადაწყვეტილებების მძევალია. სრულიად მიზანმიმართულად არ ნიშნავს სასამართლო პროცესებს, რომელსაც სააკაშვილი ითხოვს. ეს მოცემულობა კი მას მორალურად აძლიერებს. უპირატესობას აძლევს იმ ხელისუფლებასა და იმ სასამართლოსთან, რომელიც თავის დროზე მას ემსახურებოდა. სააკაშვილმა თავისი შიმშილობით, ამ სასამართლოს წინაშე, რომელიც ყველაზე კარგად სწორედ მან იცის როგორია, უპირატესობა მოიპოვა. ვინ, თუ არა სააკაშვილმა იცის, რომ ადამიანები სწორედ ამ უსამართლო მოსამართლეებმა, კოლექტიურმა ზარდიაშვილებმა გაასამართლეს.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ არ უნდა „ოცნებას“ სასამართლო პროცესი შედგეს?***

– არ გამოვრიცხავ, ღია სასამართლო პროცესზე სააკაშვილმა ძალიან ბევრ კითხვას პასუხი გასცეს და ღიად ისაუბროს. ამით კი ხალხისთვის ყველაფერი ცნობილი გახდება. ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამ. აშკარაა, რომ „ოცნებას“ არ აწყობს ღია სასამართლო პროცესი. არადა, ღია პროცესი ძალიან საინტერესო იქნებოდა. ხალხმა არაფერი არ იცის არც 7 ნოემბერთან და არც 26 მაისთან დაკავშირებით. რა გარანტიაა, რომ „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნები არ მონაწილეობდნენ ამ საქმეებში?! მე არ ვარ ამაში დარწმუნებული. ვფიქრობ, რომ სააკაშვილს რაღაც აქვს სათქმელი და ამიტომ ითხოვს ღია სასამართლო პროცესს.

„ქართულმა ოცნებამ“ შესანიშნავად იცის, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. ის ცდილობს 30 ოქტომბრამდე, არჩევნების მეორე ტურამდე, როგორმე გაქაჩოს. ახლა მხოლოდ ეს ამოცანა აქვთ.

„ქართული ოცნება“ ხვდება, რომ სააკაშვილთან მიმართებით წააგო. წააგო იმითაც, რომ ციხეში ჰყავთ.

***– კობახიძე და მდინარაძე პირიქით ამბობენ. სააკაშვილი ციხეში გვყავს და 30 ოქტომბერს საბოლოოდ დავასრულებთ „ნაციონალურ მოძრაობასო“.***

– როგორ ეტყობათ, რომ 2012 წელს „ქართულ ოცნებაში“ არ

იყვნენ. ვინც ვიყავით „ქართულ ოცნებაში“, ჩვენ ჯერ კიდევ 2012 წელს დავამარცხეთ „ნაციონალური მოძრაობა“. ეს ადამიანები მაშინ „ნაციონალურ მოძრაობაში“ იყვნენ და ამიტომ ვერ გაიგეს იმ გამარჯვების გემო, რომელიც მაშინ ქართველმა ხალხმა იზეიმა. კობახიძე და მდინარაძე მოზეიმეთა რიგებში არ ყოფილან. ერთი ადეიშვილის ადვოკატი იყო, მეორე კი კონსტიტუციას ცვლიდა დემეტრაშვილთან ერთად, რომ სააკაშვილი მუდმივი მმართველი ყოფილიყო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ესენი ვიღაცის დამთავრებაზე რომ დღეს საუბრობენ. 2012 წლის 1 ოქტომბერს დავამარცხეთ, რით ვერ გაიგეს?! ვერასდროს ვერ გაიგებენ, რადგან ყოველთვის უსამართლობის მხარეს იყვნენ. ასე იყო მაშინაც და ასეა დღესაც. ამიტომ უჭირთ გაგება.

კობახიძესაც, მდინარაძესაც, ღარიბაშვილსაც მინდა ვუთხრა, რომ ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ საინფორმაციო ომს სააკაშვილი იგებს, რაც „ქართული ოცნებისთვის“ შეიძლება დამღუპველიც კი აღმოჩნდეს.

ხელისუფლება კარგად ხვდება, რომ სააკაშვილი ვერც ქვეყნის შიგნითა და ვერც ქვეყნის გარეთ ვერ დაასრულა. 2013-2014 წლებში რომ დაეკავებინათ, სულ სხვა შინაარსი ექნებოდა, დღეს მიხეილ სააკაშვილს ციხეში, თან მოშიმშილეს, სულ სხვა დატვირთვა აქვს. როგორც ჩანს, „ოცნებაში“ ამას ხვდებიან.

***– ბატონო დავით, 30 ოქტომბერთან დაკავშირებით რა მოლოდინი გაქვთ? არჩევნების მეორე ტურით პოლიტიკური პროცესი სრულდება თუ გრძელდება?***

– მერწმუნეთ, 31 ოქტომბერს ქვეყანა ახალ რეალობაში გაიღვიძებს. „ქართულ ოცნებას“ არანაირი რესურსი აღარ გააჩნია. არც ფინანსური, არც მორალური. უპირატესობა, რომელიც მას ჰქონდა, ამოწურულია, ბოლომდეა განიავებული. ყოველ წელიწადს ამ ქვეყანაში ოპოზიციური ამომრჩეველი მატულობს. ეს ჩანს მათივე გაყალბებული შედეგებიდანაც კი. ქვეყნის მართვის ბერკეტებს კარგავენ. კარგავენ იმიტომ, რომ მართვა კი არა, ქვეყნის ძარცვა უნდათ.

***– თუმცა, სადავეებთან ისინი რჩებიან და პოზიციებს ინარჩუნებენ.***

– ეს, იცით, რას ჰგავს, მანქანის საჭესთან შეიძლება იყო, მაგრამ ძრავი არ იქოქებოდეს. „ქართული ოცნება“ ვეღარ იქოქება.

***– ექსპერტები ამბობენ, რომ მილიონნახევრიანი ქალაქის დათმობა ნიშნავს ძალაუფლების დათმობას. ამიტომ „ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს თბილისში არჩევნების მოსაგებად. ეთანხმებით?***

– კალაძემ ძალიან კარგად იცის, რა გაყალბების ფასად ვერ შეძლო პირველი ტურის მოგება. კალაძე თავს დაზიანებულად გრძნობს. თან იმასაც კარგად ხედავს, რაც გაუკეთეს. პარტიამ მეტი პროცენტი დაიწერა, ვიდრე კალაძემ აიღო. ამით „ოცნებამ“ კალაძის მითი დაამსხვრია. ამით კალაძეს უთხრეს, გახარიას უფრო მეტი შედეგის მოტანა შეეძლო პარტიისთვის, ვიდრე შენ. თან სასაცილოა, გახარიას ხმებს რომ მათხოვრობს. „კოკაინშიკის“ ხმები რაში სჭირდება?! რას გაიფორმებს „ოცნება“ და კალაძე მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რა დასკვნას გააკეთებს ხალხი.

# „მიხეილ სააკაშვილის გასათავისუფლებლად ოთხი გზა არსებობს“

## რომან გოცირიძე: „ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა მოუღებს ბოლოს „ქართული ოცნების“ მმართველობას“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს რომან გოცირიძე პასუხობს.**

***– ბატონო რომან, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ძალიან ბევრი როგორც დასავლელი პარტნიორი, ისე ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, მიხეილ სააკაშვილს პოლიტპატიმრად მოიხსენიებს. თუმცა ხელისუფლების პოზიციაა, რომ მიხეილ სააკაშვილი დამნაშავეა და მას კიდევ დიდხანს მოუწევს ციხეში ჯდომა. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

– როგორც ხედავთ, ძალიან გაძლიერდა საერთაშორისო ზეწოლა და არ დარჩა პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკოსები, რომლებიც არ ითხოვდნენ მიხეილ სააკაშვილის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. ეს მხოლოდ სიტყვებითა და განცხადებებით არ იქნება შემოფარგლული. წნეხი გაგრძელდება ძალიან და შეიქმნება ისეთი პირობები, რომ ხელისუფლებას წაუყენებენ ულტიმატუმს და შესაძლებელია, რომ საქმე მივიდეს სანქციებამდეც. სულ ორიოდე კვირაა, რაც მიხეილ სააკაშვილი დაპატიმრებულია და ფართომასშტაბიანი ხასიათი მიეცა მისი გათავისუფლების მოთხოვნას. რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო დიდი ზეწოლა იქნება როგორც ქვეყნის შიგნიდან, ისე ქვეყნის გარედან. ამიტომ ხელისუფლება იძულებული იქნება, რომ გაათავისუფლოს მიხეილ სააკაშვილი.

***– რა გზები არსებობს მიხეილ სააკაშვილის გასათავისუფლებლად?***

– მიხეილ სააკაშვილის გასათავისუფლებლად ოთხი გზა არსებობს. პირველი ძალიან მოკლე გზაა, ეს არის პრეზიდენტის მიერ შეწყალების საკითხი.

***– რაზეც კატეგორიული უარი თქვა სალომე ზურაბიშვილმა.***

– სალომე ზურაბიშვილს არავინ არ ეკითხება ამას, რასაც ბიძინა ივანიშვილი ეტყვის, იმას გააკეთებს. ხოლო ივანიშვილი მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რასაც საერთაშორისო პარტნიორები და ქართველი ხალხი უკარნახებს, ვინაიდან ყველამ კარგად იცის, რომ მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრება, ეს არის პირადად მიხეილ სააკაშვილის შურისძიება. არავის ეჭვი არ ეპარება, რომ ის არის ქვეყნის რეალური მმართველი და არა ის სასაცილო პაიკები, რომლებიც მას ჰყავს სცენაზე გამოყვანილი.

***– ერთი გზა შეწყალება, დანარჩენი გზები?***

– მეორე გზა არის პარლამენტის მიერ ამნისტიის აქტის მიღება, რომელიც ცოტა დროში იწელება, მესამე არის სტრასბური, ეს ძალიან ხანგრძლივი პროცესია და მეოთხე, ეს არის უკრაინისთვის გადაცემა. არის კიდევ მეხუთე გზა, ციხეზე შტურმი, რა თქმა უნდა, ეს ხუმრობით. ამას ვამბობ „ქართული ოცნების“ დასაცინად, რომლებსაც მართლა ჰგონიათ, რომ ჩვენი პარტიის ოფისში საბურავები გვაქვს გადამალული და გააფთრებულები ეძებენ წარუმატებლად.

***– რევოლუციისთვის ემზადება ნაციონალური მოძრაობა, აცხადებს ხელისუფლება.***

– ეს ჩვენ ყოველი არჩევნების წინ გვესმის. ძალიან სასაცილოა მათი განცხადებები. მოკლედ რომ შევაფასოთ, მიხეილ სააკაშვილის გასათავისუფლებლად არსებობს ოთხი გზა და ამ გზიდან რომელიმე უნდა იყოს გამოყენებული. სწორედ ის გზა, რომელიც უზრუნველყოფს მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას დაუყოვნებლივ, ისე, რომ მის ჯანმრთელობას არ მიადგეს ზიანი.

***– მრავალრიცხოვანი აქცია გაიმართა 14 ოქტომბერს მისი გათავისუფლების მოთხოვნით. საკმაოდ ბევრი ხალხი მოვიდა. რამ განაპირობა ხალხის შემობრუნება ნაციონალური მოძრაობისკენ და ეს ყველაფერი აისახება თუ არა მეორე ტურში?***

– რა თქმა უნდა, საზოგადოებამ დაინახა, რომ „ქართული ოცნების“ ყველა ნაბიჯი მიმართულია ერთი ამბისკენ, მათი ფინანსური და პოლიტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ყველაფერი კეთდება, რომ შეინარჩუნონ ძალაუფლება, ძალაუფლება კი იმისთვის სჭირდებათ, რომ იყვნენ დაუსჯელები, ჩაიდინონ, რაც უნდათ ის, მოიპარონ ასეული მილიონები, დაარღვიონ კანონი და ამავე დროს ჩასვან პოლიტიკური ოპონენტები ციხეში, მართონ სასამართლო და სხვა სტრუქტურები. ანუ მოასხდნენ ქვეყანას და ქვეყანაში შექმნილი დოვლათი თავის სასიკეთოდ გამოიყენონ და არა ხალხისათვის. აი ეს არის მათი მთავარი ამოცანა და ეს ხალხმა კარგად დაინახა. ხალხი ერთ რამეს მიხვდა, საქართველო განწირულია სიღატაკისათვის და ვერასდროს ვერ ამოვალთ ამ ჭაობიდან.

***– უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობაა ქვეყანაში.***

– დიახ, ასეა და ვერასდროს ვერ ამოვალთ იმ გაჭირვებიდან, რომელშიც ახლა არის ქვეყანა და მისი თითოეული მოქალაქე ჩავარდნილი. არაფერი გვეშველება, სანამ ეს ხელისუფლება არ შეიცვლება. ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა მოუღებს ბოლოს „ქართული ოცნების“ მმართველობას. სულ პატარა, ნახევარპროცენტიანი შანსიც კი არ არსებობს, რომ ამ ხელისუფლებამ რაიმე ოდნავ მაინც შეცვალოს ეკონომიკაში სასიკეთოდ.

***– რას ელოდებით მეორე ტურში? ბევრ ქალაქში იგებს ნაციონალური მოძრაობა, თუმცა გვესმის შეფასებები, რომ რადგან ერთი-ერთზე დარჩება „ოცნება“ და ნაციონალები, ხმები შემობრუნდება ხელისუფლების სასიკეთოდ. რას ელოდებით?***

– თუ გაყალბება არ იქნა, შეუძლებელია, რომ „ოცნებამ“ მეორე ტურებში სადმე მოიგოს.

***– ვერც თბილისში?***

– ვერა, ვერსად.

***– თუ გახარიას ხმები მათ მხარეს წავიდა?***

– ასე მარტივად არ არის საქმე. ხალხი ცხვარი არ არის, რომ ვიღაცამ უთხრას, წადი და ხმა ხელისუფლებას მიეცი. გახარიას ამომრჩევლები არიან ის ადამიანები, რომლებმაც ზურგი შეაქციეს „ქართულ ოცნებას“. მათ არ უნდათ „ქართული ოცნება“. თუ ისინი ხმას მისცემენ ოპოზიციას, სადაც უმეტესობა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის ხმას აძლევს ნაციონალურ მოძრაობას. ის ხმას აძლევს ზოგადად ოპოზიციას და ხმას აძლევენ ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, რომელმაც მოატყუა ამომრჩეველი და ნაცვლად სამართლიანობისა და ეკონომიკის აყვავებისა, დააქცია ეს ქვეყანა! საერთოდ, ვერაფერი ვერ შეძლეს. 10 ათასი ადამიანი მოუკვდათ ამ პანდემიის დროს და კიდევ 5 ათასი ინფიცირებულია დღეში. ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ არ შეუძლიათ პრობლემების მოგვარება. ასე რომ, მეორე ტურში ველოდები „ოცნების“ მარცხს. ეს გარდაუვალია!

# „ოცნება“ პოლიტპატიმრების თემას თავისთვის შესანიშნავად იყენებდა“

## ლევან ჩაჩუა: „პროცესებს დღესაც ივანიშვილი მართავს თავისი შუშის სასახლიდან“

მარიამ მჭედლიშვილი

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის წინ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერს, ყოფილ პოლიტპატიმარს, ლევან ჩაჩუას.**

***– ბევრი ფიქრობდა, რომ მესამე პრეზიდენტის, სააკაშვილის საკითხი 30 ოქტომბრის შემდეგ გააქტუალურდებოდა. მოვლენები უფრო სწრაფად განვითარდა. თქვენ რას იტყვით?***

– დავიწყებ სააკაშვილის ჩამოსვლით. ყოველი არჩევნების წინ გვესმოდა, რომ ის ჩამოდის. ეს არ ხდებოდა. ბოლოს ამ ფანდმა აღარ გაჭრა. ეს დაადასტურა შიდაპარტიულმა კვლევებმა. ამიტომ გადაწყდა გადამჭრელი ზომების მიღება. სააკაშვილი საქართველოში შემოიპარა. წარმოიდგინეთ, რა ფურორს მოახდენდა მისი მრავალათასიან მიტინგზე გამოჩენა!

***– ეს დაგეგმილი იყო?***

– რასაკვირველია. დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილი გარანტიებით ჩამოვიდა. მას შეჰპირდნენ, რომ საკანში არ მოხვდებოდა. ეს კაცი ცოტნე დადიანი არ არის, რომ გარანტიების გარეშე გაებედა შემოპარვა. შესრულდა თუ არა გარანტიები, თვალნათელია. სპეცოპერაციის შედეგად სააკაშვილი აიყვანეს და მისი გამოჩენა გრანდიოზულ მიტინგზე ჩაიშალა. სააკაშვილი რომ მიტინგზე გამოჩენილიყო, ეს მოვლენა გადაფარავდა 2012 წელს გავრცელებულ გახმაურებულ ციხის კადრებს და პიკზე აიყვანდა პოლიტიკურ ტემპერატურას.

***– 14 ოქტომბერს სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი.***

– ეს ხალხმრავალი მიტინგი იყო. ჩვენდა სავალალოდ, „ქართული ოცნების“ მმართველობის მეცხრე წელს ისევ ვსაუბრობთ სამართლიანობის დამყარებაზე, მას ემატება სააკაშვილის გათავისუფლების საკითხი. ისევ ორი ძალა ცდილობს საკუთარი ამომრჩევლის მობილიზაციას.

***– გამოსდით?***

– ტემპერატურის აწევა, მეტ-ნაკლებად, გამოსდით. „ქართული ოცნების“ ამომრჩევლის დაახლოებით 70-80% გულგატეხილია. 2012 წლიდან მოყოლებული, ისინი გაწბილებული არიან. არც სამართლიანობა აღდგა, არც წინა ხელისუფლების

რეჟიმი შეფასდა და გასამართლდა. ხალხის ცხოვრება გართულდა. საშუალო ფენას გაუჭირდა, ღარიბები გაღატაკდნენ. ფასები უსაშველოდ გაიზარდა. ერთადერთი, მდიდართა ფენა – მოსახლეობის 5% თავს შესანიშნავად გრძნობს და ალბათ, უფრო გამდიდრდა. ემიგრაციას შეემატა საშოვარზე წასული ხალხის ახალი ნაკადები. „ქართულ ოცნებასაც“ გაუჭირდა. „ოცნებისთვისაც“ და ნაციონალური მოძრაობისთვისაც არსებითია ამომრჩევლის მობილიზება. ორივეს აწუხებს პოლიტიკური ლეგიტიმაცია. მათთვის აუცილებელია, რომ საარჩევნო უბნები ცარიელი არ იყოს. პირველ ტურზე მოხდა ტემპერატურის შეძლებისდაგვარად აწევა და ამ ძალების ამომრჩევლის გააქტიურება.

***– სააკაშვილის გათავისუფლების მომხრეების გარდა, იმართება აქციები სლოგანით „ჯალათი ციხეში“. კონტრაქციებზე თქვენი „კოლეგა“ პოლიტპატიმრებიც გამოდიან.***

– უდანაშაულო ხალხის დამსჯელები აქამდე უნდა ყოფილიყვნენ ციხეში. სამართლიანობის აღდგენა რომ მოსალოდნელი არ იყო, ჯერ კიდევ 2013 წელს მივხვდი. მაშინ პოლიტპატიმრის სტატუსით გამომიშვეს. ჩემი საქმის პროკურორი, ანუ საქმის გამყალბებელი, არათუ პასუხისგებაში არ მიეცა ან სამსახურიდან გათავისუფლდა, დაანინაურეს. ჩემი ადვოკატი მანანა კობახიძე გახლდათ, რომელიც შემდეგ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი იყო. სხვა პოლიტპატიმრები და პოლიტდევნილები, ასევე, დანარჩენი დაზარალებულებიც ამ დღეში აღმოჩნდნენ. „ოცნება“ პოლიტპატიმრების თემას თავისთვის შესანიშნავად იყენებდა. „ოცნებასთან“ დაახლოებული უფლებადამცველები პოლიტპატიმრებით აპელირებდნენ. როცა დასჭირდებოდათ და გაუჭირდებოდათ, ზოგიერთ პოლიტპატიმარს აქციებს აწყობინებდნენ. მე და ჩემი თანამოაზრეები ხელისუფლებიდან მართულ ღონისძიებებში არ ვმონაწილეობდით და არც ახლა ვმონაწილეობთ.

***– პოლიტპატიმრების ხანგრძლივ აქციაში მონაწილეობდით.***

– ის სხვა სახის პროტესტი იყო. 2014 წელს 21-დღიანი უწყვეტი სადღეღამისო აქციები გავმართეთ. მოვითხოვდით სამართლიანობის აღდგენას, საქმეების გადახედვას და არა კომპენსაციებს. სააკაშვილის რეჟიმისგან დაზარალებული, ციხეგამოვლილი, ჯანმრთელობაშერყეული ხალხი ვიდექით პარლამენტთან. ხელისუფლებამ არაფრად ჩაგვაგდო. სამი ქრონიკული დაავადება გამოვიტანე უკანონო პატიმრობიდან. სახელმწიფოს ერთი აბი წამალი არ გაუმეტებია ჩემთვის. 2014 წელსაც დამტკიცდა, რომ ქოცები და ნაცები მედლის ორი მხარეა. ცნობილია, რომ ივანიშვილი ყოველთვის გვერდით ედგა სააკაშვილს. ღიად ითქვა, რომ „ვარდების რევოლუციას“ და შემდგომ – სააკაშვილის ხელისუფლებას 90%-ით ასპონსორებდა ივანიშვილი, სოროსმა კი მხოლოდ ხარჯების 10% დააფინანსა. ივანიშვილმა შეუძინა სპეცტექნიკა, რომელსაც ხალხის დასარბევად იყენებდნენ. ამ სპეცტექნიკით გაუსწორდნენ შეკრებილებს 7 ნოემბერსა და 26 მაისს. პროცესებს დღესაც ივანიშვილი მართავს თავის შუშის სასახლიდან. „ქართულ იდეაში“ მიგვაჩნია, რომ პოლიტიკოსობა და მაღალჩინოსნობა არ ნიშნავს კანონზე მაღლა დგომას და დაუსჯელობას. თუ ამ ხალხიდან ვინმეს ასამართლებენ და ციხეში უშვებენ, ის ვადამდე გამოდის. ზოგიერთს საერთოდ არ ეხებიან. ასეთი უსამართლო სისტემა დაამკვიდრეს.

***– სააკაშვილის შემთხვევაში როგორ იმოქმედებს ეს სისტემა?***

– ვფიქრობ, რომ მას 6 წელიწადი არ გააჩერებენ. უსამართლო სისტემა ისევ ძალაშია. გირგვლიანის საქმეზე სააკაშვილის ბრალეულობა სტრასბურის სასამართლომაც დაადასტურა. რატომღაც მისი თაყვანისმცემლები ამას ივიწყებენ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რაც წარდგენილი არა აქვს. პარლამენტის მიერ ჩვენი პოლიტპატიმრებად აღიარება თავისთავად ნიშნავს, რომ სააკაშვილმა შექმნა რეჟიმი და ის პირადად არის დამნაშავე. სააკაშვილი ამაზე და სხვა საქმეებზეც არავის გაუსამართლებია. პროკურატურაში მტვერი დაედო 300.000-მდე სისხლის სამართლის საქმეს. უნდა მომხდარიყო მათი გადახედვა. ლაშა ნაცვლიშვილმა, რომელიც წინა წლებში პროკურატურაში მეორე პირი იყო, ფაქტობრივად კი ყველაფერს განაგებდა, მოგვიანებით წარმოთქვა აღიარება. მე მას აღსარებას ვადარებ. ნაცვლიშვილმა საჯაროდ თქვა, რომ კოაბიტაციის გამო შეაჩერეს სამართალწარმოება. ქართულ პოლიტიკაში ასეა – უმრავლესობა მოქმედებს არა ქართული სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად, არამედ, იმის მიხედვით, თუ რას უკარნახებენ გარედან – ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და ა. შ.

***– ახლო მომავალში მოვლენების როგორ განვითარებას ელით?***

– თუ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ძალა არ გამოვიდა ასპარეზზე, მუდმივად იქნება აქციები და კონტრაქციები, დარჩება პოლიტიკური ჭაობი და გაუსაძლისი მდგომარეობა. პირველ ტურში ნაცქოცურმა სისტემამ მჭიდის ყველა ვაზნა გამოუშვა, მაგრამ ამომრჩევლის 50% მაინც შინ დარჩა. რა აღარ გამოაგდეს – სუს-ის ფაილები, მეგის ქარდავას ექსტრადირება, სააკაშვილის შემოპარვა. არჩევნებზე მისულებიდან ბევრი ძალით იყო მიყვანილი. მესაუბრებიან პედაგოგები, ბიუჯეტიდან დაფინანსებული სხვა პროფესიის ადამიანები. ისინი ძალადობაზე ჩივიან და ახალი, ჯანსაღი ძალის მოლოდინში არიან. მესამე ძალაზე არ არის საუბარი. ხალხი ელის სრულიად ახალ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოძრაობას, ახალ ცენტრს. მან ღირსება უნდა დაუბრუნოს მოქალაქეებსაც და სახელმწიფოსაც. საქართველო ყოველთვის იყო მედიატორი და კავკასიის ცენტრი. აქ იკრიბებოდნენ ერთმანეთთან დაპირისპირებული სომხები და აზერბაიჯანელები, სომხები და თურქები და სხვა. შევარდნაძის დროიდან დაწყებული, ყველა ხელისუფლება უმცირდება საქართველოს ავტორიტეტს და თავის ფუნქციას. საქართველო გადააქციეს ბინძურ ბუნაგად, სადაც ხელმისაწვდომია კაზინოში თამაში, მეძავის შოვნა და ნარკოტიკის მოხმარება. ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ გაუსვრელი, სუფთა ბიოგრაფიის მქონე პატრიოტები, რომლებიც ქვეყანას ღირსებას დაუბრუნებენ და ხალხზეც იზრუნებენ. ხალხის უმრავლესობის სურვილია, ახალ ძალაში იყვნენ პირები, რომლებიც არ ყოფილან სააკაშვილთან და რომლებიც ვერ იყიდა ივანიშვილმა.

# „რუსეთის სამხედრო აგრესიის დროს ამერიკა საქართველოს არ მიატოვებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ყველაფერი ქმნის გარკვეულ მომენტს და ამ განზომილების ფარგლებში აქტიურად უნდა ჩავერთოთ.

***– ოსტინმა განაცხადა, რომ ამერიკა გმობს რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასა და შავ ზღვაზე სხვადასხვა მეთოდებით გავლენის მოპოვების მცდელობას. როგორი გზავნილია ეს რუსეთისთვის?***

– ეს რუსეთისთვის სერიოზული გზავნილი და მესიჯია, რომ საქართველოში რუსეთის სამხედრო აგრესიის გაგრძელების შემთხვევაში, ამერიკა საქართველოს არ მიატოვებს. ამისთვის მოეწერა ხელი ახალ შეთანხმებას, გაგების მემორანდუმს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტს შორის, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს უწყებათაშორის ურთიერთობებს.

ალბათ, ახალ ინიციატივებსაც უნდა ველოდოთ, რომელიც ჩვენს თავდაცვისუნარიანობას კიდევ უფრო გააძლიერებს.

***– როცა ნატოსთან თავსებადობაზეა საუბარი, მიზანი ჩვენი ნატოსთან დაახლოება და გაწევრიანებაა?***

– რა თქმა უნდა, ეგ არის. თუმცა, ოსტინმა წითელი ბარათი მისცა საქართველოს 3+3 ფორმატში მონაწილეობაზე. ეს იყო ერთგვარი გაფრთხილება და მესიჯი, რომ უფრო მეტად გავერკვეთ, რა საგარეო-პოლიტიკურ კურსს ვავითარებთ.

***– 3+3 ფორმატში მონაწილეობაზე ჯერ ხომ არ გაგვიცხადებია თანხმობა?***

– არ ვიცი. ბოლო პერიოდში დელეგაციებისა და დიპლომატიის გააქტიურება აზერბაიჯანისა და თურქეთის მიმართულებით, ამ ინდიკაციებს ტოვებს. ასევე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბოლოდროინდელი განცხადება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ საქართველო აპირებს ან უკვე მონაწილეობს ამ ფორმატში.

ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს მონაწილეობას 3+3 ფორმატში ამერიკელები მაინცდამაინც არ მიესალმებიან. მიაჩნიათ, რომ ეს რუსეთის მიერ ახალი ინიციატივის გახმოვანება და განვითარებაა. ასეთია მათი მიდგომა. ამ მოსაზრებას მეც ვიზიარებ.

***– ოსტინმა თქვა, რომ 3+3 ფორმატზე არაფერს იტყვის, მაგრამ რუსეთი, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20%, პატივს უნდა სცემდეს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას.***

– თავდაცვის მინისტრის საკომენტარო არ არის, საქართველო მიიღებს თუ არა რომელიმე ფორმატში მონაწილეობას, ეს სახელმწიფო დეპარტამენტის დონეს შეესაბამება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ თავდაცვის მდივანი მონაწილეობს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის დაგეგმარების საკითხებში და არის უშიშროების საბჭოს წევრი, ბუნებრივია, ეს ფაქტორი მასაც ეხება. ვერ ვიტყვით, რომ ოსტინმა არასწორი განცხადება გააკეთა.

***– რა თქმა უნდა.***

– ამ კუთხით ოსტინმა სწორი განცხადება გააკეთა. მან გამოიჩინა მაღალი დიპლომატიური ოსტატობა და ძალიან რბილად უთხრა საქართველოს, ამ ფორმატში თქვენი მონაწილეობა მაინცდამაინც სასურველი არ არის, ეს არის რუსული ნარატივი და დასავლეთის ინტერესებს ნაკლებად შეესაბამება, რაც სწორი მესიჯია.

***– მოგეხსენებათ, 2008 წლის შემდეგ, საქართველოს ამერიკიდან იარაღის შესყიდვაზე ემბარგო ჰქონდა დაწესებული. ამერიკული იარაღის მწარმოებელ ქარხნებს აშშ-ის სახელმწიფოს მხრიდან იარაღის მოყიდვა აკრძალული ჰქონდა. ოსტინთან შეხვედრის შემდეგ, ბურჭულაძემ განაცხადა, შეიარაღების საკითხებში გრძელვადიან დაგეგმვაზე გადავედითო. ეს რას ნიშნავს?***

– 2013 წლიდან ემბარგო აღარ მოქმედებს. საშუალება გვქონდა შეგვეძინა ჯაველინებისა და სტინგერების პარტია. ასევე, გარკვეული ამერიკული მსუბუქი შეიარაღების ელემენტები შევიძინეთ. შესაბამისად, ამერიკელების პროგრამაში ვართ ჩართული.

ამერიკა ყოველწლიურად 200-300 მილიონ დოლარს გვაძლევს მხოლოდ დახმარების სახით. ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდება, კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს მიიღებს.

***– 200-300 მილიონის ეკვივალენტის შეიარაღება შემოდის?***

– შეგვიძლია შეიარაღება შევიძინოთ, შეგვიძლია განვავითაროთ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, შეგვიძლია თავდაცვისუნარიანობის სხვა მიმართულებით წარვმართოთ. ეს ქვეყნის პრეროგატივაა. ამას ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობა განსაზღვრავს. ახლა ეს პროგრამა გაგრძელდება და კიდევ ახალ ფორმებს მიიღებს. ალბათ, ეს იყო შეთანხმების მთავარი არსი.

***– შეკავების გეგმაში შედის ჩვენი სამხედრო და შეიარაღების კუთხით გაძლიერება?***

– რა თქმა უნდა. ყველაფერი აქეთკენაა მიმართული. ეს არის სტრატეგიული მიზანი, რისთვისაც ჩამოსული იყო თავდაცვის მდივანი. ამას პლუს, ოსტინმა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე გაამახვილა ყურადღება.

***– საუბარი იყო საქართველოს თავდაცვის სისტემაში რეფორმების გაგრძელებაზე. თუმცა, არ უთქვამთ, რომელ სფეროებშია რეფორმები გასატარებელი. რომელი სფეროების განვითარება სჭირდება საქართველოს თავდაცვას?***

– საჰაერო თავდაცვასა და საზღვაო კომპონენტს სჭირდება გაძლიერება. ასევე, საჭიროა სახმელეთო კომპონენტის გარკვეული ნაწილის გაძლიერება და თავდაცვითი შეიარაღების გაძლიერება, რომელიც მოიგერიებს შემოტევას ჰაერიდან და ზღვიდან.

***– ამ შეხვედრის შემდეგ გაცხადდა, რომ საქართველოში არსებული საწვრთნელი ცენტრი, სადაც სხვადასხვა ქვეყნების მონაწილეობით მრავალეროვანი სამხედრო წვრთნები ტარდება ხოლმე, მსოფლიო დონის ნატოს საწვრთნელ ცენტრად ტრანსფორმირდება. რატომ მიენიჭა ასეთი მნიშვნელობა საქართველოში არსებულ საწვრთნელ ბაზას?***

– ეს ბუნებრივია, რადგან საქართველო ნატოს წევრი უნდა გახდეს. ნატოსთან თავსებადობა იზრდება. ლოგიკურიც არის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გაიხსნა ნატოს საწვრთნელი ცენტრი, რომელიც ქვეყანას დაეხმარება იმ მიზნების მიღწევაში, რაც გააჩნია ნატოსთან დაკავშირებით და პირიქით. აგრეთვე ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობასა და სამშვიდობო სამხედრო კამპანიის წარმოებაში.

***– ყურადღება გამახვილდა ჩინეთის მიერ ბირთვული ქობინების გამოცდაზე. ოსტინმა განაცხადა, რომ ჩინეთში მიმდინარე მოვლენებს ამერიკა ყურადღებით ადევნებს თვალყურს და აშშ-სთვის ეს გამოწვევაა. ამ კუთხით თქვენი შეფასება როგორია?***

– ჩინეთი ავითარებს თავისი ბალისტიკური-სარაკეტო კომპლექსების მოდერნიზაციას. საუბარია საშუალო და გრძელვადიან ბალისტიკურ რაკეტებზე. ჩინეთი ასევე მუშაობს ზებგერითი სარაკეტო კომპლექსების შექმნაზე. რომლის მახის სიჩქარე იქნება 8-12 მახი. ბუნებრივია, ეს ამერიკის საკმაოდ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ამერიკელებისთვის საკმაოდ სერიოზული გამოწვევაა. შეხვედრაზე, ცხადია, ამ კუთხითაც იქნებოდა საუბარი. ჩანს, შეკავების ინიციატივა ჩინეთის შეკავებასაც გულისხმობს.

***– ალბათ, იმიტომ, ჩვენ რომ კარგი ურთიერთობები გვაქვს ჩინეთთან.***

– საქართველო არის ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორი, მეგობარი ქვეყანა. ჩინეთი გვეხმარება ეკონომიკურად, ფინანსურად და საინვესტიციო კაპიტალით. საკმაოდ ძლიერად გვეხმარება. ასევე პოლიტიკურად გვიჭერს მხარს არაღიარების პოლიტიკის პირობების შექმნაში. ჩინეთი არის ჩვენი სავაჭრო პარტნიორი უფრო მეტად, ვიდრე აშშ. ეს არის ფაქტი. ამიტომ, გარკვეულწილად, საქართველო ჩინურ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს. ჩვენი საგარეო პოლიტიკა ჩინური ელემენტით, საკმაოდ გამოიკვეთება, მით უმეტეს, დღევანდელი მმართველი ძალის ხელში.

***– ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მნიშვნელობას შევეხეთო. ეს ვიზიტი ნატოს სამიტის წინ განხორციელდა. როგორ ფიქრობთ, ნატოს სამიტზე თუ იქნება საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივაზე მსჯელობა?***

– სამიტზე განიხილება შავი ზღვის უსაფრთხოების განზომილების საკითხი. ასევე, საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანების თემა და, ბუნებრივია, ოსტინმა ჩაატარა ერთგვარი მოთელვითი სამუშაოები – ჩამოვიდა და სიტუაციას გაეცნო. ალბათ, ოსტინი არსებულ ვითარებასა და თავის ევროპული ტურნეს შედეგებს აშშ-ის პრეზიდენტ ბაიდენს გააცნობს. შემდეგ ბაიდენი მიიღებს გარკვეულ გადაწყვეტილებას, რა საკითხები წამოიწიოს.

## კოვიდ-19-ის გამო თბილისში 99 საბავშვო ბაღი დაიკეტა

ბოლო მონაცემებით, კორონავირუსის შემთხვევების გამო, თბილისში არსებული 186 საბავშვო ბაღიდან 99 ბაღია დაკეტილი.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის ბაღების მართვის სააგენტოში განუცხადეს, 53 ბაგა-ბაღის შემთხვევაში კორონავირუსით ინფიცირებული აღსაზრდელი იყო, ხოლო 46 შემთხვევაში – ბაღის თანამშრომელი.

ბაგა-ბაღები სააღმზრდელო პროცესს საკარანტინო ვადის, 12 დღის, გასვლისთანავე განაახლებენ.

ცნობისთვის, ბაგა-ბაღების მუშაობა 4 ოქტომბერს განახლდა.

# ანასტასია შატალოვას მკვლელობის საქმეზე 3 პირი დააკავეს

## მკვლელობისთვის ბრალი ბექა ლატარიას წაუყენეს

ადვოკატ სოსო კორკელიას ინფორმაციით, ანასტასია შატალოვას მკვლელობის საქმის ფარგლებში სამი პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ ადვოკატმა განაცხადა, საქმეზე ერთ-ერთი დაკავებულია ბიძინა ხასია, რომლის ინტერესებსაც თავად იცავს. ადვოკატის თქმით, ბიძინა ხასიას გამოძიება დანაშაულის დაფარვას, ხოლო კიდევ ერთ დაკავებულ ბექა ლატარიას ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვას ედავება.

კორკელიასთვის უცნობია, კონკრეტულად რა ბრალდებითაა დაკავებული კიდევ ერთი პირი.

გარდა ამისა, როგორც სოსო კორკელია აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ნაცემია, თუმცა აქვე განმარტავს, რომ ბიძინა ხასიას დაკავების დროს სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

– მე ვიყავი ბრალდებულთან. მთელი დღის განმავლობაში ვეძებდით დაკავებულებს, პროკურატურა და პოლიცია ცდილობდა, გზა-კვალი აერია, რომ არ მიგვეგნო. ამ საღამოს, როდესაც ბრალდებული ვნახე, ნანახმა ძალიან გამაოცა, სასტიკადაა ნაცემი – სახე შესიებული აქვს, თავი დასისხლიანებული, ტანზე ნაკაწრები, ნეკნები სტკივა, ვერ სუნთქავს. მძიმე მდგომარეობაშია.

რისი მოყოლაც შეძლო, ისაა, რომ დანაშაულის დაფარვას ედავებიან, თუმცა არ იცის, რა დანაშაულის დაფარვას. მიუხედავად იმისა, რომ პროცესუალურად დაპატიმრებულია, არც დაკავების ოქმი გადასცემია, არც ოჯახის წევრებისთვის შეუტყობინებიათ, რომ დააკავეს. ყველა საპროცესო ნორმა უგულებელყოფილი იქნა. უფრო დეტალურად, რა დანაშაულის დაფარვას

### დაკავებისას პოლიციას ხელყუმბარა ესროლეს

ედავებიან, ალბათ, მერე გვეცოდინება. იქნებ ახლა მაინც ინებოს პროკურატურამ და საქმის მასალები გადმოგვცეს. მასალები ამ ეტაპზე არ გვაქვს.

რაც შეეხება ლატარიას, როგორც ჩემი კოლეგისგან ვიცი, მას ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვას ედავებიან. კიდევ ერთი დაკავებულია, თუმცა მას ამ დრომდე უფლებადამცველი არ ჰყავს და დეტალური ინფორმაცია არ მაქვს, რას ედავებიან, – განაცხადა ადვოკატმა.

ანასტასია შატალოვას მკვლელობის საქმეზე სამი პირი სამართალდამცავებმა 18 ოქტომბერს დააკავეს. ახალგაზრდა მამაკაცები გლდანში ერთ-ერთ სახლში იმალებოდნენ.

„კურიერის“ ინფორმაციით, ერთ-ერთმა პირმა სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწია, გამოიყენა ხელყუმბარა, თუმცა პოლიციამ სპეცოპერაციის შედეგად სამივე პირი დააკავა.

„ტვ პირველის“ ინფორმაციით, დაკავებულთა შორის 44 წლის ლევან რაჯავიცაა.

დაკავებულები ადვოკატებმა წინასწარი დაკავების იზოლატორში უკვე მოინახულეს.

უფლებადამცველების თქმით, არც ერთი მათგანი დანაშაულს არ აღიარებს. ადვოკატების ინფორმაციით, დაკავებულები მოკლულ ანასტასია შატალოვას არ იცნობდნენ.

– მას 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ედავებიან. ბექა ლატარიამ ჩემთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ მას კითხვას უსვამდნენ ანასტასია შატალოვას მკვლელობის ირგვლივ. თუმცა, მას ამ ქალბატონთან არანაირი შემხებლობა არ ჰქონია და მას არ იცნობს. ვნახოთ, საერთოდ რითი წარუდგენს მას პროკურატურა ბრალს და საერთოდ რა აქვთ მასალებში. ჩვენ არ ვართ ვალდებულები, ვამტკიცოთ ჩვენი უდანაშაულობა, – აცხადებს ბექა ლატარიას ადვოკატი გიორგი ლაღიძე.

გარდაცვლილის ოჯახის ადვოკატი კი აცხადებს, რომ საქართველოში ანასტასია შატალოვას მამა ჩამოვიდა და მისივე თქმით, ოჯახი დაინტერესებულია არა მარტო დამნაშავეების დასჯით, არამედ იმის გარკვევით, თუ ვინ იყო დამკვეთი.

– გარდაცვლილის მამა ჩამობრძანდა და ის ზრუნავს, რომ როგორმე ქალბატონის სამშობლოში გადასვენება მოხდეს. ასევე, ოჯახის ზრუნვის საგანია ის, რომ როგორმე გადაეცეთ ბავშვი მათ აღსაზრდელად. ვიმედოვნებ, რომ ფარდა აეხდება ყველაფერს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მარტო დამნაშავეების დასჯა, არამედ ის, თუ ვინ იყო დამკვეთი, – აცხადებს გარდაცვლილის ოჯახის ადვოკატი პაატა შავაძე.

❖ ❖ ❖

გუშინ, 19 ოქტომბერს, საღამოს, ანასტასია შატალოვას განზრახ მკვლელობის მუხლით ბრალი ბექა ლატარიას წაუყენეს. სამართალდამცველების მტკიცებით, სწორედ ლატარიაა ის პირი, ვინც შატალოვას 7 ტყვია ესროლა.

საქმის მასალები ადვოკატს უკვე გადასცეს.

რაც შეეხება სხვა დაკავებულებს, „პირველების“ ინფორმაციით, ბიძინა ხასიას ეკუთვნოდა ავტომობილი, რომლითაც დაკავებულები გადაადგილდებოდნენ, მას სამართალდამცველები მკვლელობასათან კავშირს ვერ უმტკიცებენ და ბრალი დანაშაულის შეუტყობინებლობის მუხლით წაუყენეს, მესამე პირს, ლევან რაჯავს, დიდი ოდენობით ნარკოტიკების შეძენა-შენახვას ედავებიან.

გამოძიება ახლა დამკვეთების გამოვლენას ცდილობს.

ერთ-ერთი ვერსიით, სასტიკი მკვლელობა ჩეჩნეთის მოქალაქემ შეუკვეთა, რომელსაც პირადი კონფლიქტი ჰქონდა ანასტასია შატალოვასთან, თუმცა ამ ვერსიას გამორიცხავს მოკლული ქალის ოჯახის ადვოკატი.

# „იზოლატორში ბადრი ხასიას არაადამიანურად მოექცნენ“

## სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გამოძიება დაიწყო

დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებული პირისთვის დაზიანებების მიყენებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური განცხადებას ავრცელებს.

საუბარია ბადრი ხასიაზე, რომელიც ანასტასია შატალოვას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებითაა დაკავებული.

„2021 წლის 18 ოქტომბერს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შემოვიდა შეტყობინება შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებულ ბ. ხ.-ს სხეულზე არსებულ დაზიანებებთან დაკავშირებით.

შეტყობინების მიღების შემდგომ, ბ. ხ.-სთან გარემოებების დაზუსტების მიზნით ჩატარდა გასაუბრება, რის საფუძველზეც, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეულ თანამშრომელთა მხრიდან ბ ხ.-ს მიმართ განხორციელებული სავარაუდო არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და ჩვენების მიცემის იძულების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე ტერცია მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებითა და ამავე კოდექსის 335-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით“ – ნათქვამია განცხადებაში.

# ავარია ნაფარეულთან

## 1 ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე დაშავდა

გუშინ, 19 ოქტომბერს, თელავის მუნიციპალიტეტში ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

სოფელ ნაფარეულთან დამაკავშირებელ ცენტრალურ გზაზე ერთმანეთს ორი ავტომობილი შეეჯახა, დაზიანდა კიდევ ერთი მსუბუქი მანქანა.

შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ სამაშველო ჯგუფების ჩართვა გახდა საჭირო.

შედეგად ერთ-ერთი ავტომობილის მგზავრი, შუახნის მამაკაცი, ადგილზე გარდაიცვალა. დაშავებულია რამდენიმე ადამიანი, რომლებიც საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ პოლიცია და სამაშველო სამსახური.

# გურჯაანში 71 წლის ალექსანდრე ზარდიაშვილმა ცოლ-ქმარი თოფით მოკლა

## „მკვლელი მოკლულების უახლოესი ნათესავია“

გურჯაანში მკვლელობა მოხდა.

ადგილობრივების თქმით, ალექსანდრე ზარდიაშვილმა სანადირო თოფიდან ცოლ-ქმარს, გურამ და მერი ზარდიაშვილებს სხეულზე დაზიანებები მიაყენა.

ცოლი ადგილზე გარდაიცვალა, ქმარი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოგვიანებით მამაკაცი კლინიკაში გარდაიცვალა. მას კისრის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდა, ის საავადმყოფოში შეყვანისას ცოცხალი იყო, თუმცა, მიღებული დაზიანებები სიცოცხლისთვის შეუთავსებელი აღმოჩნდა და ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

ერთ-ერთი ვერსიით, მომხდარი სადავო მიწის ნაკვეთს უკავშირდება.

შს სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების და გურჯაანის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა 1950 წელს დაბადებული ა.ზ. ორი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანში, სამეზობლო დავის ნიადაგზე, სანადირო თოფიდან გასროლით მეზობლად მცხოვრებ ბიძაშვილსა და მის მეუღლეს – გ.ზ.-ს და მ.ზ.-ს სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ა.ზ., ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, მომხდარიდან მალევე, სოფელ გურჯაანის მიმდებარე ტერიტორიაზე, მინდორში დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – გლუვლულიანი სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღო“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ორი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მკვლელობასთან დაკავშირებით, პირველი კომენტარი გააკეთეს მოკლული ცოლ-ქმრის ოჯახის წევრებმა.

ზარდიაშვილების რძალი ირწმუნება, რომ სავარაუდო დამნაშავეს, რომელიც მათი უახლოესი ნათესავია, ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა და ოჯახი ამ მიზეზით გაიმეტა.

მისივე მტკიცებით, მიწის ნაკვეთზე და არც სხვა რაიმე თემაზე მხარეებს წარსულში დაპირისპირება არ ჰქონიათ.

# ალექსანდრე კობაიძე: „რუსთავის მე-17 საპატიმროში ხანძრის დროს პატიმრები საკნებში გამოკეტეს“

ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე იუსტიციის სამინისტროს მიმართავს, წარმოადგინოს ვიდეოჩანაწერი, სადაც ნაჩვენებია, რომ რუსთავის

მე-17 პენიტენციურ დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრის დროს დაღუპული პატიმრები სასადილოში იყვნენ და არა – საკანში.

მისი განცხადებით, აქვს ინფორმაცია, რომ ხანძრის დროს პატიმრები საკნებში გამოკეტეს და არ მოახდინეს მათი შენობიდან ევაკუაცია.

– ჩვენ, როდესაც ხანძარი გაჩნდა, დაუყოვნებლივ მივმართეთ იუსტიციის სამინისტროს და მოვითხოვეთ, რომ მომხდარიყო პატიმრების ევაკუაცია მე-17 დაწესებულებიდან. სამწუხაროდ, პენიტენციურმა სამსახურმა ჩვენი თხოვნა არ შეისმინა და აღნიშნეს, რომ ყველაფერს აკონტროლებდნენ.

აღმოჩნდა, რომ პატიმრები ჩაკეტეს საკნებში და, სამწუხაროდ, გვყავს ორი გარდაცვლილი. ჩინოვნიკებმა, ამ შემთხვევაში ციხის დირექტორმა და იუსტიციის მინისტრმა, არ მიიღეს კონკრეტული გადაწყვეტილება და მყისიერი რეაგირება არ მოახდინეს და არ მოახდინეს პატიმრების ევაკუაცია, რაც არის პირდაპირი პასუხისმგებლობა ბატონი ბრეგაძის და ციხის დირექტორის.

ასევე, ჩვენ მივმართავთ იუსტიციის სამინისტროს, რომ თუ გარდაცვლილი პატიმრები გაიგუდნენ არა საკნებში, არამედ სასადილოში, მაშინ კეთილი ინებეთ და წარმოადგინეთ ვიდეოჩანაწერი, რითაც დადასტურდება სიმართლე, – განაცხადა ადვოკატმა მედიაცენტრ „მთავარში“.

# ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღებისთვის სანქციები მკაცრდება

პარლამენტმა პირველი მოსმენით „სისხლის სამართლის კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილება განიხილა, რომელიც ნარკოტიკული საშუალების, ახალი ფსიქოაქტიური, ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერებების გასაღებისთვის სანქციის გამკაცრებას ითვალისწინებს.

პროექტის თანახმად, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო გასაღება დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ნაცვლად მოქმედი რედაქციით განსაზღვრული ექვსიდან თერთმეტ წლამდე დადგენილი სანქციისა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ალექსანდრე დარახველიძის განცხადებით, სანქცია იმატებს დასახელებული ნივთიერებების დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო გასაღებისთვისაც.

კერძოდ, დიდი ოდენობის შემთხვევაში, სასჯელის შუალედი გაიზრდება შვიდიდან თოთხმეტი წლით თავისუფლებით აღკვეთიდან თორმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, განსაკუთრებით დიდი ოდენობის შემთხვევაში კი განსაზღვრულია თოთხმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

დარახველიძემ ასევე აღნიშნა, რომ გაიმიჯნება ფსიქოტროპულ და ძლიერმოქმედ ნივთიერებებთან მიმართებაში შეძენა/შენახვის შემადგენლობა და გასაღების მიმართულება.

შესაბამისად:

ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო გასაღება დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე;

ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო გასაღება დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე;

აღნიშნული ნივთიერების დიდი ოდენობით გასაღება დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ცხრა წლამდე, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით გასაღება – თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თოთხმეტ წლამდე.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, ცვლილებების ძირითად მიზანს წარმოადგენს ნარკოგამსაღებლებთან აქტიური ბრძოლა და მათ წინააღმდეგ საკანონმდებლო მიდგომების გამკაცრება.

პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.

# ლატვია სკოლებს და მაღაზიებს ხურავს და კომენდანტის საათს აწესებს

ლატვიამ, კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევების შესამცირებლად, 21 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე ლოქდაუნი გამოაცხადა.

მთავრობის გადაწყვეტილებით, აღნიშნულ პერიოდში დაიხურება სკოლები, მაღაზიები, რესტორნები და გასართობი დაწესებულებები. საღამოს 8 საათიდან დილის 5 საათამდე კი ე.წ. „კომენდანტის საათი“ იმოქმედებს. არადისტანციურ რეჟიმში მხოლოდ აუცილებელი საწარმოო, სამშენებლო და კრიტიკულად მნიშვნელოვან სფეროებში დასაქმებულები განაგრძობენ მუშაობას.

ლატვიის პრემიერ-მინისტრმა კრისიანის კარინსმა განაცხადა, რომ შემთხვევების მატების მიზეზი ქვეყანაში ვაქცინაციის დაბალი ტემპია.

– ჩვენი ჯანდაცვის სისტემა საფრთხის წინაშეა. ამ კრიზისის ერთადერთი გამოსავალი არის ვაქცინაცია. ბოდიში უნდა მოვუხადო უკვე აცრილ ადამიანებს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა კრისიანის კარინსმა მთავრობის საგანგებო სხდომის შემდეგ.

ლატვიის ჯანდაცვის სამსახურების ინფორმაციით, ქვეყანაში კოვიდ-19-ით ინფიცირების შემთხვევები, წინა კვირასთან შედარებით, 49%-ით გაიზარდა. დედაქალაქ რიგაში ორ უდიდეს საავადმყოფოში კოვიდპაციენტებისთვის დამატებითი საწოლები დადგეს.

რამდენიმე დღის წინ კორონავირუსი ლატვიის პრეზიდენტ ეგილს ლევიტსაც დაუდასტურდა.

ლატვიაში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით სრულად ვაქცინირებულია მოსახლეობის 54%, რაც ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელია ევროკავშირის ქვეყნებს შორის.

# პოლ უილანი შესაძლოა აშშ-ში გააძევონ

ამერიკელი საზღვაო ქვეითი პოლ უილანი რუსეთის კოლონიაში სასჯელს იხდის. მას ჯაშუშობის ბრალდებით 16 წელი მიუსაჯეს.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, შესაძლოა მოხდეს უილანის ექსტრადირება აშშ-ში. ამ საკითხს რუსეთის სასამართლო ნოემბერში განიხილავს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ჩეხეთის პრეზიდენტს გადააყენებენ?

ჩეხეთის პრეზიდენტი, პრორუსული ორიენტაციის ზემანი შესაძლოა თანამდებობას ჩამოაშორონ.

ამ საკითხს ჩეხეთის სენატი უახლოეს ხანებში განიხილავს.

ზემანი რეანიმაციაშია. მას ღვიძლი აწუხებს. პრეზიდენტის ოპონენტები ამტკიცებენ, რომ ზემანს თავისი მოვალეობის შესრულება აღარ შეუძლია.

# საბერძნეთის კუნძულ კარპატოსთან მიწისძვრა მოხდა

გუშინ, 19 ოქტომბერს, საბერძნეთის კუნძულ კარპატოსთან 6.0 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

ინფორმაციას მედია საშუალებები აშშ-ის გეოლოგიურ სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებენ.

მიწისქვეშა ბიძგები იგრძნობოდა ხმელთაშუა ზღვის მთელს აღმოსავლეთ რეგიონში, მათ შორის ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში, ასევე თურქეთში და საბერძნეთის რამდენიმე კუნძულზე.

ბიძგები დაფიქსირდა კვიპროსში, ლიბანში, ისრაელსა და პალესტინაშიც. საბერძნეთის გეოდინამიკის ინსტიტუტის ინფორმაციით, მიწისძვრის ეპიცენტრი 58 კილომეტრის სიღრმეზე კარპატოსიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 127 კილომეტრში დაფიქსირდა.

საბერძნეთის, თურქეთისა და ეგვიპტის ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ მსხვერპლის ან ნგრევის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

# პოლიციის თანამშრომელმა ეჭვმიტანილთან რომანი გააბა და ფული მოჰპარა

დიდ ბრიტანეთში პოლიციის დეტექტივმა ეჭვმიტანილთან რომანი გააბა და მას სოლიდური თანხა მოჰპარა.

გამოძიების მონაცემებით, ჯონ მაკარტის, რომელიც ინგლისის პოლიციაში დეტექტივად მუშაობდა, ფარულად სექსი ჰქონდა ქალთან, რომლის საქმესაც იძიებდა. მალევე ქალის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

სიტუაციით დაინტერესდა პოლიციის ქცევის საკითხების შემსწავლელი დამოუკიდებელი სამმართველო. მალე მისმა თანამშრომლებმა აღმოაჩინეს სექსუალური ხასიათის ტექსტური შეტყობინება, რომელსაც მაკარტი ძიების ქვეშ მყოფ ქალს უგზავნიდა. ასევე დეტექტივმა ქალს გასტაცა 3,58 ათასი ფუნტი სტერლინგი, რომელიც მან თითქოსდა სესხად გამოართვა. პოლიციის თანამშრომლის მიმართ საქმის ძიება 2018 წელს დაიწყო, თუმცა მთელი ამ ხნის განმავლობაში ის მუშაობას აგრძელებდა და თანამდებობა მხოლოდ მიმდინარე წლის სექტემბერში დატოვა.

– სრულიად აშკარაა, რომ მაკარტი აგრესიულ ნაბიჯებს დგამდა პირადი სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და სარგებლობის მისაღებად, – განაცხადა სამმართველოს წარმომადგენელმა.

# მედდამ სამი ხანდაზმული პაციენტი წვეთოვანებით მოკლა

იაპონიაში მედდის საქმის სასამართლო მოსმენა დაიწყო, რომელსაც საავადმყოფოს სამი ხანდაზმული პაციენტის მკვლელობაში ედება ბრალი.

გამოძიების მიმდინარეობისას 34 წლის აიუმი კუბოგიმ კანავაგას პრეფექტურის ქალაქ იოკოჰამაში 2016 წელს ჩადენილი მკვლელობები აღიარა. მან ამავე დროს დანაშაულის მონანიებაზე უარი განაცხადა და ჩადენილი დიდი სტრესით ახსნა. მედდა ავადმყოფების წვეთოვანებში სადეზინფექციო საშუალებებს ურევდა. ორი 78 და 88 წლის ქალი მას შემდეგ გარდაიცვალა, როდესაც კუბოგის მიერ მომზადებული წვეთოვანები მათ სხვა მედდამ დაუყენა. მესამე ქალი კი მან თავადვე მოკლა.

სასამართლოზე კუბოგიმ განაცხადა, რომ მას სტრესთან დაკავშირებით პრობლემები 2008 წელს მას შემდეგ დაეწყო, როდესაც ერთ-ერთი პაციენტი დაიღუპა. ქალმა ამაში დამნაშავედ საკუთარი თავი ჩათვალა. კუბოგის ამ ყოველივესთან გასამკლავებლად ძილის წამალი გამოუწერეს და ის მასზე დამოკიდებული გახდა.

ქალის სტრესი კიდევ უფრო დაამძიმა იმან, რომ მისი აზრით, იმ ადამიანების ნათესავებს, რომლებიც მის განყოფილებაში გარდაიცვალნენ, მის მიმართ „ნაგატიური დამოკიდებულება“ ჰქონდათ. 2015 წელს კუბოგი იოკოჰამას საავადმყოფოში გადავიდა სამუშაოდ და სადაც მისი ავადმყოფების დიდი უმრავლესობა ხანდაზმული ასაკის იყო. კუბოგიმ სასამართლოზე განაცხადა, რომ დანაშაულობები „გონებრივი და ფიზიკური გამოფიტვის“ მდგომარეობაში ჩაიდინა, თუმცა საკუთარი ქმედებების გამო სინანულს არ განიცდის.

ამ დროისთვის სასამართლო პროცესი გრძელდება და მედდას ხუთი წლის პატიმრობიდან სიკვდილით დასჯამდე სასჯელი ელის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სუპერლიგა დაიწყო, ტიტებს ვერ აჩერებენ

დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში, რომელიც საიუბილეო, 30-ე იქნება. საჩემპიონო ტიტულისთვის 11 გუნდი იბრძოლებს. პირველი ტური ნაკლული გამოდგა, რადგან რუსთავმა და ქუთაისმა, რომლებსაც პირველ ტურში ერთმანეთში უნდა ეთამაშათ, სუპერთასზე ითამაშეს და მათი მატჩი 1 ნოემბერს გაიმართება.

**დინამო-თსუ 87:97**

**(22:27, 16:23, 25:27, 24:20)**

სუპერლიგის გახსნით შეხვედრაში ერთმანეთს გასული სეზონის ბრინჯაოსმედალოსანი დინამო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი დაუპირისპირდნენ. გამარჯვება ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილ უნივერსიტეტელებს დარჩათ, რომლებიც გვარიანი დანაკლისით თამაშობდნენ.

თსუ-ს ძირითადი გამთამაშებელი, ეროვნული ნაკრების წევრი, გიორგი ცინცაძე ტრავმის გამო გამოაკლდა. ცინცაძემ დუდუ დადიანის ტურნირზე ჯვარედინი მყესები დაიზიანა და საოპერაციოა. მის არყოფნაში თსუ-ის სამწვრთნელო შტაბს, რომლის შემადგენლობაშიც ლაფანაშვილთან ერთად დიმიტრი ჭელიძე და ნუგზარ ჭეიშვილიც შედიან, გუნდის სრულიად ახალ რელსებზე გადაწყობა მოუწევს, რადგან ერთია თამაში, რომელსაც გიორგი ცინცაძე დირიჟორობს და მეორე, როცა ბურთს სხვა ათამაშებს.

რაც შეეხება დინამოს, გუნდმა აქცენტი ახალგაზრდებზე გააკეთა და შემადგენლობაში ძირითადად 18-20 წლის ბიჭები ჰყავს. საქართველოს ყველაზე სახელიანმა გუნდმა გაუშვა უცხოელი სპეციალისტი მუჰამედ ტაჩი და ჯერჯერობით განაცხადში მხოლოდ 2 ლეგიონერი ჰყავს, რომელთაგან არც ერთს უთამაშია.

რაც შეეხება მატჩს, თსუ-მ საბოლოოდ 10 ქულით მოიგო, მაგრამ თამაშის განმავლობაში 16-18 ქულით ლიდერობდა. უნივერსიტეტელებს გაუმართლათ ამერიკელმა ლეგიონერმა, ლოველ ქაბილმა, რომელსაც ტრავმირებული ცინცაძის არყოფნაში მეტი სამოქმედო არეალი გამოუთავისუფლდა და შეტევაშიც მეტი გაქანება მიეცა. ქაბილმა საბოლოოდ 34 ქულა, 6 მოხსნა, 5 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა და თსუ-ელთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

შესანიშნავი სტატისტიკა მოაგროვა ეროვნული ნაკრების წევრმა, მიხეილ ბერიშვილმა, რომელმაც 28 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. რაც შეეხება დინამოელებს, ჟოლივეტ ტუჯანის გუნდში 25 ქულით საუკეთესო იყო ვლადიმერ თავაქარაშვილი. 20 ქულით და 7 მოხსნით ანზორ ნადირაძე გამოირჩა.

**ტიტები-ჯაჯუსი 99:68**

**(26:13, 25:18, 24:19, 24:18)**

1 კვირის წინ მოგებული დუდუ დადიანის თასის შემდეგ ტიტებმა გამარჯვებით გახსნა სუპერლიგაც. ბესო ლეჟავას გაწვრთნილი გუნდი პირველი ტურის მატჩში კაკტუსს დაუპირისპირდა და ისე დაამარცხა, მეტოქისთვის არანაირი შანსი არ მიუცია. ტიტებმა ოთხივე მეოთხედი მოუგეს მეტოქეს და საბოლოოდ 31 ქულის სხვაობით – 99:68 იმარჯვეს.

ლეჟავას გუნდი კარგად დაბალანსებულია და ფიზიკურადაც საკმაოდ კარგ ფორმაში იმყოფება. ოთხივე ლეგიონერი სარგებლიანად ირჯება, ქართველი კალათბურთელებიც მონდომებით თამაშობენ და ლიდერ უცხოელებს ხელს კარგად აშველებენ. მოთამაშეები მთლიანობაში კარგად ართმევენ თავს მწვრთნელის მიერ ვარჯიშებზე დამუშავებულ კომბინაციებსა და ტაქტიკას. შედეგიც სახეზეა.

პირველი პერიოდი ლეჟავას გუნდმა 26:13 მოიგო და მეტოქეს დაანახა, რომ წარმატების იმედი არ უნდა ჰქონოდა. თავის მხრივ, კაკტუსსაც ჰყავს ლეგიონერები, მაგრამ მეტოქეს ვერ აჯობეს. ვერც ფარქვეშ და ვერც პერიმეტრზე ტიტების კალათბურთელთა დომინაციას არჩილ ჟღენტის გაწვრთნილი კაკტუსელები წინ ვერ აღუდგნენ და თამაში ისე ჩამთავრდა, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა.

სხვა უპირატესობებთან ერთად აღსანიშნავია, რომ ტიტების მოთამაშეებმა 21-დან 21 საჯარიმო ჩააგდეს, რაც სუპერლიგაში იშვიათი შემთხვევაა.

საუკეთესო შედეგი ჯავიონ ოგუნიემიმ დააფიქსირა, რომელმაც 20 ქულა ისე ჩააგდო, თამაშიდან მხოლოდ 2 ბურთი ააცილა. მან 10-დან 8 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო მიითვალა. 20 ქულა დაგროვდა ისააკ ასრატის ანგარიშზეც, ხოლო ჯორდან რობერტსონმა 17 ქულა და 5 პასი მოაგროვა. ტიტების ქართველი კალათბურთელებიდან საუკეთესო შედეგი დავით აბულაძემ დააფიქსირა – 15 ქულა. კაკტუსში 16 ქულით რიკი მედისონი გამოირჩა, ხოლო ანდრე ფოქსის ანგარიშზე 13 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა.

**ოლიმპი-მეგა 86:72**

**(22:25, 26:9, 21:22, 17:16)**

სუპერლიგის დებიუტანტისთვის პირველი მატჩი წარუმატებელი აღმოჩნდა. დავით როგავას გაწვრთნილმა ოლიმპელებმა ა ლიგიდან გადმოსული გუნდი დამაჯერებლად – 86:72 დაამარცხეს.

არადა, მეგამ შეხვედრა საკმაოდ კარგად დაიწყო. დემონტე ფლანიგანის შედეგიანობით

**გაგრძელება მე-7 გვერდზე**

# შედეგები

**18 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-კრ.პალასი ..... 2:2

**სატუნინო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 8 | 6 | 1 | 1 | 16-3 | 19 |
| 2.ლივერპული | 8 | 5 | 3 | 0 | 22-6 | 18 |
| 3.სიტი | 8 | 5 | 2 | 1 | 16-3 | 17 |
| 4.ბრაიტონი | 8 | 4 | 3 | 1 | 8-5 | 15 |
| 5.ტოტენჰემი | 8 | 5 | 0 | 3 | 9-12 | 15 |
| 6.მანჩესტერი | 8 | 4 | 2 | 2 | 16-10 | 14 |
| 7.ვესტ ჰემი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-10 | 14 |
| 8.ევერტონი | 8 | 4 | 2 | 2 | 13-9 | 14 |
| 9.ბრენტფორდი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-7 | 12 |
| 10.ვულვზი | 8 | 4 | 0 | 4 | 8-8 | 12 |
| 11.ლესტერი | 8 | 3 | 2 | 3 | 13-14 | 11 |
| 12.არსენალი | 8 | 3 | 2 | 3 | 7-12 | 11 |
| 13.ასტონ ვილა | 8 | 3 | 1 | 4 | 12-12 | 10 |
| 14.კრ.პალასი | 8 | 1 | 5 | 2 | 810-13 | 8 |
| 15.საუთჰემპტონი | 8 | 1 | 4 | 3 | 6-10 | 7 |
| 16.უოტფორდი | 8 | 2 | 1 | 5 | 7-15 | 7 |
| 17.ლიდსი | 8 | 1 | 3 | 4 | 7-15 | 6 |
| 18.ბარნლი | 8 | 0 | 3 | 5 | 5-13 | 3 |
| 19.ნიუკასლი | 8 | 0 | 3 | 5 | 10-19 | 3 |
| 20.ნორვიჩი | 8 | 0 | 2 | 6 | 2-16 | 2 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-ბეტისი ..... 0:1

ესპანიოლი-კადისი ..... 2:0

**სატუნინო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სოსიედადი | 9 | 6 | 2 | 1 | 12-7 | 20 |
| 2.რეალი | 8 | 5 | 2 | 1 | 22-10 | 17 |
| 3.სევილია | 8 | 5 | 2 | 1 | 11-3 | 17 |
| 4.ატლეტიკო | 8 | 5 | 2 | 1 | 11-6 | 17 |
| 5.ოსასუნა | 9 | 5 | 2 | 2 | 13-12 | 17 |
| 6.რაიო | 9 | 5 | 1 | 3 | 15-9 | 16 |
| 7.ბარსელონა | 8 | 4 | 3 | 1 | 14-8 | 15 |
| 8.ბეტისი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-9 | 15 |
| 9.ბილბაო | 8 | 3 | 4 | 1 | 7-4 | 13 |
| 10.ვალენსია | 9 | 3 | 3 | 3 | 13-11 | 12 |
| 11.ესპანიოლი | 9 | 3 | 3 | 3 | 8-8 | 12 |
| 12.ვილიარეალი | 8 | 2 | 5 | 1 | 9-5 | 11 |
| 13.მალიორკა | 9 | 3 | 2 | 4 | 7-13 | 11 |
| 14.ელჩე | 9 | 2 | 3 | 4 | 6-10 | 9 |
| 15.კადისი | 9 | 1 | 4 | 4 | 7-13 | 7 |
| 16.სელტა | 9 | 2 | 1 | 6 | 7-12 | 7 |
| 17.გრანადა | 8 | 1 | 3 | 4 | 6-12 | 6 |
| 18.ლევანტე | 9 | 0 | 5 | 4 | 6-13 | 5 |
| 19.ალავესი | 8 | 1 | 0 | 7 | 2-13 | 3 |
| 20.ხეტაფე | 9 | 0 | 2 | 7 | 3-13 | 2 |

**იტალია. სერია ა**

ვენეცია-ფიორენტინა ..... 1:0

**სატუნინო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 8 | 8 | 0 | 0 | 19-3 | 24 |
| 2.მილანი | 8 | 7 | 1 | 0 | 18-7 | 22 |
| 3.ინტერი | 8 | 5 | 2 | 1 | 23-11 | 17 |
| 4.რომა | 8 | 5 | 0 | 3 | 16-9 | 15 |
| 5.ლაციო | 8 | 4 | 2 | 2 | 18-13 | 14 |
| 6.ატალანტა | 8 | 4 | 2 | 2 | 14-10 | 14 |
| 7.იუვენტუსი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-10 | 14 |
| 8.ფიორენტინა | 7 | 4 | 0 | 3 | 10-11 | 12 |
| 9.ბოლონია | 8 | 3 | 3 | 2 | 13-15 | 12 |
| 10.უდინეზე | 8 | 2 | 3 | 3 | 10-12 | 9 |
| 11.ემპოლი | 8 | 3 | 0 | 5 | 10-16 | 9 |
| 12.ტორინო | 8 | 2 | 2 | 4 | 9-8 | 8 |
| 13.ვერონა | 8 | 2 | 2 | 4 | 17-17 | 8 |
| 14.სასუოლო | 8 | 2 | 2 | 4 | 9-11 | 8 |
| 15.ვენეცია | 8 | 2 | 2 | 4 | 6-12 | 8 |
| 16.სპეცია | 8 | 2 | 1 | 5 | 10-20 | 7 |
| 17.ჯენოა | 8 | 1 | 3 | 4 | 12-18 | 6 |
| 18.კალიარი | 8 | 1 | 3 | 4 | 11-17 | 6 |
| 19.სამპდორია | 8 | 1 | 3 | 4 | 11-16 | 6 |
| 20.სალერნიტანა | 8 | 1 | 1 | 6 | 6-17 | 4 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ნიმი-აიჩო ..... 0:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ალანია-ქაისერი ..... 6:3

ხატაი-გაზიანთები ..... 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლამია-არისი ..... 0:1

**პორტუგალია. ექსტრაჯერასა**

სტალი-ზაგლებიე ..... 4:2

იაგელონია-რადომიაკი ..... 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ჩერნომორეცი-ვერესი ..... 0:1

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-ოლბორგი ..... 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰაკენი-ნორჩიოპინგი ..... 5:0

დიუგარდენი-ელფსბორგი ..... 0:3

**განცხადებები**

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

# ირაკლი ჩიქოვანი: „უნდა დავმკვიდრდეთ იქ, სადაც ჩვენი ადგილია“

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მოთამაშე, ირაკლი ჩიქოვანი რუმინულ კონსტანცასთან ერთად სუპერთასის მფლობელი გახდა. ქართველი ლეგიონერის გუნდმა ტიტულისთვის ბრძოლაში ბუქარესტის დინამო 19:18 დაამარცხა.

ჩიქოვანმა 4 გოლის გატანა შეძლო.

**ირაკლი ჩიქოვანი:**

– ქალაქში ამ წარმატებით ძალიან გახარებულები იყვნენ. რუმინეთში ხელბურთი პოპულარობით სპორტის პირველი თუ არა, მეორე სახეობა ნამდვილად არის და ყველამ მოგვილოცა ეს გამარჯვება, მათ შორის, ადგილობრივი ხელისუფლებიდანაც. ორმაგად აღსანიშნავია ეს მოგება, რადგან საკმაოდ ძლიერ მეტოქეს ვძლიეთ, ბუქარესტის დინამო ისედაც ძლიერი გუნდია და ამ სეზონის წინ უფრო გაძლიერდნენ ლეგიონერებით. მათი სტატუსიდან გამომდინარე, ფავორიტებად ჩვენ ნამდვილად არ მივიჩნეოდით, თუმცა ჩვენ ჩვენი შემართება გამოვავლინეთ, ამასთან ერთად, საოცრად ითამაშა ჩვენმა მეკარემ, ყველაფერი ერთმანეთს დაემატა და თასის მოპოვება მოვახერხეთ.

***– რუმინეთში ჩემპიონატის ახალი სეზონი უკვე დაიწყო. რა არის კონსტანცას მიზანი ამ სეზონში?***

– ახალი ხელბურთელები ჩვენც გვყავს, ორი ადგილობრივია, ოთხი – ლეგიონერი, გუნდს კარგად შეეწყვნენ და ვფიქრობ, წინა წელთან შედარებით უფრო გავძლიერდებით. მეტოქეები საკმაოდ ძლიერები არიან და ჩემპიონობისთვის ბრძოლა რთული იქნება. პროგრამა მინიმუმი ალბათ უფრო საპრიზო სამეულში შესვლაა.

***– საქართველოს ნაკრებზე ვისაუბროთ, გაირკვა თუ ვინ იქნება ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის შესარჩევ რაუნდში ჩვენი გუნდის მეტოქე – ფინეთის ნაკრები. ჩვენ მათ წინა შესარჩევ ეტაპზეც შევხვდით, თუმცა, სამწუხაროდ, დავმარცხდით. ახლა როგორ შეაფასებთ წილისყრას და როგორია მოლოდინები?***

– ფინეთი ძლიერი მეტოქეა, მაგრამ ჩვენ დავინახეთ უკვე, რომ კვიპროსმა თუ რამდენიმე წლის წინ დაგვამარცხა, წელს უკვე დიდი ანგარიშით ვძლიეთ. ეს იმის მაგალითია, თუ ეს შემართება გვექნება და მობილიზებულები ვიქნებით, ფინეთის ბარიერსაც დავძლევთ და იმ ერთ ნაბიჯსაც გადავლახავთ, რომელიც ევროპის ჩემპიონატის დასკვნით შესარჩევ ეტაპამდე გვაშორებს. მთავარია ჯანმრთელად გვყავდნენ მოთამაშეები, მერე ჩვენზეა დამოკიდებული წარმატების მოპოვება და იქ დამკვიდრება, სადაც ნამდვილად ჩვენი ადგილია.

***– საქართველოს ნაკრების მეტოქეები გაირკვნენ 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზეც. ჩვენი ნაკრები მე-2 ჯგუფში იმავე ფინეთთან, ესტონეთთან და დიდ ბრიტანეთთან ერთად იასპარეზებს. ამ მეტოქეებზე რას იტყვით?***

– ამ გუნდებთან ადრე ვითამაშეთ და ზოგადი წარმოდგენა გვაქვს მათზე. რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლა უფრო რთული პროცესია, ვიდრე ევროპაზე. მაგრამ ამ საკვალიფიკაციოზეც მაქსიმალურად დავიხარჯებით. ჯგუფში 2 საუკეთესო გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე გადადის, კიდევ ერთხელ ვიტყვი, მთავარია ტრავმებმა არ შეგვაწუხოს და ამ 2 გუნდში მოხვედრა შესაძლებელია.

***– ზაფხულში თბილისში ევროპის ჩემპიონატის პრე-საკვალიფიკაციო რაუნდი, ერთა თასი გაიმართა, რომელიც საქართველომ დამაჯერებლად მოიგო. მოთამაშეებს დიდი ხანი ერთად არ გქონდათ ნათამაშები, ახალი მწვრთნელის ფაქტორიც იყო, მაგრამ რეზულტატი დადებითი დადგა, რის ხარჯზე მოხერხდა ტურნირზე პირველობა?***

– ბიჭებმა თავი არ დაზოგეს, იმის მიუხედავად თუ მეტოქე ვინ იყო, თამაშებზე 100%-ით იხარჯებოდნენ. მალტაში განცდილი მარცხი კვიპროსის წინააღმდეგ მწარედ გვახსოვდა და ეს ორმაგ მოტივაციას გვაძლევდა.

რაც შეეხება მწვრთნელის ფაქტორს, სანდუ ფლორინ იაკობმა ნაკრებში პოზიტიური განწყობა შემოიტანა და, შესაბამისად, დადებითი კუთხით ბევრი რამ შეიცვალა. ნაკრებში რამდენიმე ვართ, ვინც რუმინულად ვლაპარაკობთ, თავად ინგლისურადაც გამართულად მეტყველებს, ასე რომ, კომუნიკაციის პრობლემაც არ არსებობს.

უნდა აღვნიშნო, რომ მშვენიერი თაობა მოდის, მათ თავი ზაფხულში გამართულ მატჩებშიც წარმოაჩინეს. ნაკრების გამოცდილი მოთამაშეები ახალგაზრდებს მაქსიმალურად დავეხმარებით და ჩვენს გამოცდილებას გავუზიარებთ. მათ დიდი შანსი აქვთ, რომ ჩვენი გუნდი ერთი საფეხურით ზემოთ აიყვანონ, იქ, სადაც რეალურად ჩვენი ადგილია.

# სუპერლიგა დაიწყო, ჭიჭებს ვერ აჩერებენ

დასაწყისი მე-6 გვერდზე

სუპერლიგის დებიუტანტები 22:11 დაწინაურდნენ, რაც ოლიმპელთა მობილიზების მიზეზი გახდა. როგავამ წუთშესვენება აიღო, რის შემდეგაც მისმა გუნდმა თამაში გამოასწორა და ჩამორჩენის შემცირება იწყო. საწყისი პერიოდის ბოლოსთვის მეგას უპირატესობიდან 3 ქულა დარჩა, ხოლო მეორე ათწუთეულიდან ოლიმპი დაწინაურდა და მეტოქე უკან მოიტოვა.

ილია ლონდარიძის ფარქვეშ შედეგიანობას შედეგი მოჰყვა. გზა გაეხსნათ ოლიმპის უკანახაზელებსაც და 26:9 მოგებული მეორე პერიოდის შემდეგ როგავას გუნდი დიდი შესვენებისთვის 48:34 იგებდა.

მე-2 ტაიმში ვითარება არ შეცვლილა. ოლიმპის მოთამაშეებმა მეტოქეს გაქანება არ მისცეს. მაქსიმუმი, რაც დებიუტანტი გუნდის წევრებმა შეძლეს, ჩამორჩენის 10 ქულამდე შემცირება იყო. საბოლოოდ, ოლიმპმა 14 ქულის სხვაობით იმარჯვა და სუპერლიგის გათამაშება დაგეგმილი სცენარით დაიწყო.

გამარჯვებულებს 21 ქულითა და 9 მოხსნით ილია ლონდარიძემ ულიდერა. 10 ქულა და 10 მოხსნა ბუნდუ აბდულაის ანგარიშზეა. 16 ქულა კენდრიკ ტომპსონმა მითვალა, ხოლო დავით ლომიძის ანგარიშზე 14 ქულა და 6 მოხსნა დაგროვდა. მეგაში 18 ქულით დემონტე ფლანიგანი გამოირჩა. ოთარ ბულიავამ 13 ქულა დააგროვა.

**ვეჰა-ბათუმი 83:74**

**(20:15, 20:18, 22:18, 21:23)**

დავით გასიტაშვილის გაწვრთნილი ვერა ბუბა ბერიშვილის ბათუმს შეხვდა და 83:74 დაამარცხა.

სუპერლიგის საწყის ეტაპზე გუნდები შეუთამაშებელნი არიან და ბევრ რამესაც შეცვლიან, მაგრამ ფაქტია, რომ პირველ ტურს მეტოქეზე მეტად მომზადებული ვერა შეხვდა.

ვერელებმა დუდუ დადიანის მემორიალზე 2 შეხვედრა ითამაშეს, ბათუმელებს კი აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობა არ მიუღიათ. შესაბამისად, თამაშის ორგანიზებაში ვერელებს ნაკლები პრობლემები ჰქონდათ და მატჩის სადავეებს საიმედოდ ფლობდნენ.

პირველი პერიოდი მასპინძლებმა 20:15 მოიგეს, მეორეში ლიდერობას 4 ქულა შემატეს და დიდ შესვენებაზე 9 ქულით დაწინაურდნენ. შედეგიანად თამაშობდნენ ვერელების ლეგიონერები, ასევე გუნდის კაპიტანი ვახტანგ ქადარია. მე-3 ათწუთეულში ბათუმელებმა მოინდომეს, მაგრამ მოწინააღმდეგის დაცვით ბარიერს ვერ გაუმკლავდნენ და ბოლო ათწუთეულის წინ თბილისური გუნდის ყველაზე დიდი ლიდერობა დაფიქსირდა – 62:51.

ბოლო პერიოდში ბათუმელები ბევრს ეცადნენ, თუმცა ვერაფრის შეცვლა ვერ მოახერხეს. გამარჯვებულთა შორის 18 ქულით, 13 მოხსნით და 3 ჩაჭრით საუკეთესო იყო ზაკ სელიასი. 23 ქულა და 8 მოხსნა ვახტანგ ქადარიამ, ხოლო 20 ქულა დარეულ ბრაუნმა მიითვალა. ბათუმში 19 ქულით საუკეთესო იყო ოთარ პერტაია.

მოამზადა
მიხეილ ჟორჟოლიანმა

# უეფამ ინგლისის ნაკრები და ასოციაცია დასაჯა

უეფამ ინგლისი დასაჯა. ქვეყნის ეროვნულ გუნდს უმაყურებლო სტადიონზე მოუწევს თამაში. მიზეზი: ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის ფინალზე ხალხის ორგანიზებულად შეშვება ვერ შეძლო, რასაც უწესრიგობა მოჰყვა.

ინგლისელებს მაყურებლის გარეშე ივნისში, ერთა ლიგის შეხვედრაში მოუწევთ თამაში. ვინ იქნება მეტოქე, 16 დეკემბერს, კენჭისყრაზე გაირკვევა.

შეგახსენებთ, ლაპარაკია „უემბლის“ სტადიონზე.

ამ სასჯელის გარდა, უეფამ ინგლისელებს გამოსაცდელი ვადაც დაუთქვა. თუკი 2-წლიან პერიოდში ისინი კვლავ დააშავებენ რამეს, კიდევ ერთხელ დაისჯებიან ცარიელი ტრიბუნების წინაშე თამაშით.

ლონდონში 2021 წლის 11 ივლისს ევრო 2020-ის ფინალი ჩატარდა. ერთმანეთს იტალია და ინგლისი ხვდებოდნენ. კოვიდ-19-თან დაკავშირებულ რეგულაციათა გამო, ორგანიზატორებს სტადიონზე მხოლოდ ტევადობის ორი მესამედი უნდა შეეშვათ, მაგრამ სკაუტებისა და პოლიციის კორდონებმა უბილეთო მაყურებლის ზეწოლას ვერ გაუძლეს და ტრიბუნებზე ხალხი ვანდალურად შეიჭრა. იყო სხვა ინციდენტებიც, მათ შორის, შეხვედრის წინ იტალიის სახელმწიფო ჰიმნის სტვენით შეურაცხყოფა.

ფულადი ჯარიმა, რომელიც უეფამ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას დააკისრა, 100.000 ევროს ტოლია.

შეხვედრა 1:1 დასრულდა. პენალტებით იტალიამ გაიმარჯვა და ევროპის ჩემპიონი გახდა.

# საქართველო უზბეკეთთან ითამაშებს

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები მიმდინარე წლის ნოემბერში ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ვილი სანიოლის გუნდი 2021 წლის ბოლო მატჩში, საკუთარ მოედანზე უზბეკეთის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდება. შეხვედრა 15 ნოემბერს, 18:00 საათზე დაიწყება.

უზბეკეთის წინააღმდეგ გასამართ მატჩამდე საქართველოს ეროვნული ნაკრები 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის დასკვნით მატჩს შვედეთის წინააღმდეგ გამართავს. საქართველოსა და შვედეთის ეროვნულ ნაკრებთა დაპირისპირებას 11 ნოემბერს, 21:00 საათიდან ბათუმის ახალი სტადიონი უმასპინძლებს.

**მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი**

11 ნოემბერი. 21:00. საქართველო-შვედეთი;

**საერთაშორისო ამხანაგური მატჩი**

15 ნოემბერი. 18:00. საქართველო-უზბეკეთი.

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ᲛᲐᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**ᲜᲐᲜᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ᲮᲘᲩᲐ ᲒᲝᲒᲘᲐ:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**ᲛᲖᲘᲐ ᲓᲣᲜᲓᲣᲐ:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ, ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ 166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ. ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## ჯოსვოხდი ბ



**შვეულად:** 1. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 2. კვერცხების ვარგისიანობის შესამოწმებელი ელექტროხელსაწყო; 3. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 4. ქართული ნაციონალური კერძი; 5. ღვინისა და დროსტარების ღვთაების პატივსაცემი დღესასწაული ძველ ათენსა და რომში; 10. მაროკოს დედაქალაქი; 11. უდაბნოში მზარდი მცენარე; 12. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 13. ფრანგი სოციოლოგი, ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 16. ლიგურიის ზღვისპირა კურორტი იტალიაში; 17. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 19. უზენაესი სასამართლო ძველ საბერძნეთში; 21. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 23. შავი ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

**თარაზულად:** 6. სიცოცხლით სავსე, მეტისმეტად ხალისიანი ადამიანი; 7. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 8. შიშით გამოწვეული მღელვარება; 9. უმაღლესი წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 14. ქედი სამხრეთ საქართველოში; 15. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 18. იმრე კალმანის ოპერეტა; 20. ცნობილი უნგრელი მოჭადრაკე დების გვარი; 22. პატარა სამკუთხა ალამი; 24. ბრიტანული ფარმაცევტული კომპანია; 25. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 26. კუბის დედაქალაქი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კაფე; 2. ემუ; 3. რეზონანსი; 4. ღორჯო; 5. კახიანი; 8. რური; 9. ფოცხოვი; 10. დეპოზიტი; 12. მახვში; 13. მზაღო; 15. უფიცა.

**თარაზულად:** 1. კირთაძე; 6. კეჭნაობა; 7. ფურკა; 10. დრონი; 11. თრუსო; 13. მახნო; 14. ჯრუჭი; 16. ვერა; 17. ინგლისი; 18. ბოტასი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფერხული; 2. საფიხვნო; 3. ალოტროპია; 4. ფეოდალი; 5. დეპორტაცია; 10. ბორანი; 11. ფეხბურთი; 12. იმერეთი; 13. დიზაჟიო; 16. პარამეტრი; 17. ჯაყელები; 19. ალტიტუდა; 21. შტატი; 23. პუნში.

**თარაზულად:** 6. თედიაშვილი; 7. მერჩულე; 8. კულუხი; 9. ერდოღანი; 14. დილიჟანი; 15. პრეამბულა; 18. კათხა; 20. ბარტერი; 22. კოპტები; 23. სტრიპი; 25. სტატისტი; 26. ტოშიბა.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


20 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1369

ევრო — 3.6573

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3355

100 რუსული რუბლი — 4.4264

## ამინდის პროგნოზი 20 ოქტომბრისათვის

## სლუცკიმ კვარაცხელია გააკრიტიკა

ყაზანის რუბინის მთავარმა მწვრთნელმა ლეონიდ სლუცკიმ ხვიჩა კვარაცხელიაზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ამჟამად საუკეთესო ფორმაში არ არის და ეს რამდენიმე ფაქტორით შეიძლება იყოს გამოწვეული.

სლუცკიმ თქვა, რომ ბოლო პერიოდში კვარაცხელია შედარებით ნაკლებს ვარჯიშობს:

– შევამჩნიე, რომ ხვიჩამ ვარჯიშს უკლო და არ ვიცი, ეს რითი არის გამოწვეული, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ის აღიდგენს ფორმას, რადგან ხვიჩას კარგი თამაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

## რუდიგერი ჩელსის დატოვებას აპირებს

ჩელსის ცენტრალური მცველი ანტონიო რუდიგერი ზაფხულში დიდი ალბათობით ჩელსის დატოვებას აპირებს, რადგან მას კონტრაქტი უმთავრდება და ჯერჯერობით ჩელსი მას ახალ კონტრაქტს არ სთავაზობს.

გარდა ამისა, რუდიგერს რამდენიმე იტალიური გუნდი ეპატიჟება, მათ შორის, ლაციო და ინტერი.

შეგახსენებთ, რომ ჩელსიში გადასვლამდე რუდიგერი რომას ღირსებას იცავდა.

## სალაჰი ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს

ლივერპულის ერთ-ერთი ლიდერი მოჰამედ სალაჰი ლივერპულთან კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს და ის მზად არის სხვა გუნდების წინადადებებიც მოისმინოს და, შესაძლოა, მან ლივერპული დატოვოს კიდეც, თუმცა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ის ამას არ დაუშვებს.

სალაჰი ანაზღაურების გაზრდას ითხოვს და, შესაძლოა, სწორედ ამიტომ არ ჩქარობს ის კონტრაქტის გაფორმებას.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– არა, ძმაო, ისევ ბანდიტი მირჩევნია ცოლს.

– რატომ, კაცო?

– კაცო, ბანდიტი გეუბნება: ან ფული, ან სული, ცოლი კი ორივეს გთხოვს.

•••

კაცი მივიდა ჯიხურში და გამყიდველს ეკითხება:

– სიგარეტი თუ გაქვთ ღერებით?

– კი, სიგარეტი ღერებით და კიდო „მაროჟნი“ გვაქვს ტლაკვით, არ გინდა?!

•••

ბიჭი გოგოს ტელეფონზე ურეკავს და ეკითხება:

– როგორ გიცნოთ ჩვენ პირველ პაემანზე?

– ფატა მეხურება და ჩემი მზითევიც თან მექნება.

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– გამარჯობა მეზობელო, როგორ გყავთ პატარა?

– პატარა ნორმალურადაა, აი ჩვენ კი უძილობამ დაგვტანჯა. თავს ცუდად ვგრძნობ.

– და ლელა როგორაა?

– ლელა მე ვარ, თემო კიდევ უფრო უარესად გამოიყურება.

•••

საბავშვო ბაღში შვილის წამოსაყვანად მისულ მამას ეკითხებიან:

– თქვენი ბავშვი რომელია?

– რა მნიშვნელობა აქვს, ხვალ ისევ აქ არ უნდა მოვიყვანო...

•••

ქორწილის მეორე დღეს ცოლი ქმარს ეუბნება:

– იცი, ძვირფასო, ქალიშვილობის დროინდელ ზოგიერთ ჩვევაზე უარს ვერ ვიტყვი.

– არც არის საჭირო! შეგიძლია ფულის მამისთვის გამორთმევა გააგრძელო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## აკა მოდებაძემ გვანცა ციხელაშვილს ხელი ლაივში სთხოვა

ტელეკომპანია „მთავარის“ გადაცემის „შენი დიღა“ ერთ-ერთი რუბრიკის წამყვანებმა აკა მოდებაძემ და გვანცა ციხელაშვილმა საკუთარი ბედნიერება მაყურებელს პირდაპირ ეთერში ამცნეს.

გადაცემის მსვლელობისას აკამ გვანცას პირდაპირ ეთერში ცოლობა სთხოვა და მისგან თანხმობაც მიიღო.

**აკა მოდებაძე:**

– უბედნიერესი მამაკაცი ვარ, რადგან მყავს არაჩვეულებრივი, ძალიან სექსუალური, ძალიან მეგობრული, მაგარი ძმაკაციც. ადამიანი, რომელიც არის ძალიან მშრომელი. არა მარტო ჩემი, არამედ მსოფლიო ვარსკვლავი, ის არის ჩემი მზეც და მთვარეც.

**გვანცა ციხელაშვილი:**

– მადლობა უფალს, რომ მყავს აკა. ყოველთვის ასეთ სიურპრიზებს მიკეთებს. ის არის ჩემი საოცრება. ვეთაყვანები მის ნიჭს, მან გამხადა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტი. მას ემსახურება მთელი ჩემი ნიჭი და ერთგულება მთელი ცხოვრების მანძილზე. 20 წელია ვიცნობ და მისნაირი ადამიანი ჯერ არ შემხვედრია.

## მომღერალ მალხაზ მელქუაშვილს საზოგადოების დახმარება სჭირდება

მომღერალ მალხაზ მელქუაშვილს, რომელსაც ავარიის შედეგად ფეხი დაუზიანდა, საზოგადოების დახმარება სჭირდება. მას სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება, თუმცა ამის ფინანსები არ გააჩნია. დახმარების მსურველებს მცირედის ჩარიცხვა საქართველოს ბანკში მის სახელზე გახსნილ ანგარიშზე შეუძლიათ.

ინფორმაცია მისმა კოლეგამ, „გორდელას“ წევრმა თამარ ალადაშვილმა გაავრცელა:

– ყველასთვის საყვარელ მომღერალს, მეგობარს და ნიჭიერ, მიზანდასახულ ადამიანს, რომელიც პროექტ „ახალი თაობის“ ავტორია, ავარიის შედეგად დაუზიანდა ფეხი. რიგი მიზეზებით ვერ ჩატარდა დროულად ოპერაცია და გართულდა მდგომარეობა.

ძალიან რთული იყო რამდენიმე დღის წინ ვიზიტი ექიმთან, რომელიც ამპუტაციაზე ალაპარაკდა. სასწრაფოდ გვესაჭიროება გადაუდებელი ოპერაცია, რომელიც სულ რაღაც 45 ათასი ლარი ჯდება.

ჩვენ ბევრი შევძელით და, დარწმუნებული ვარ, არც ახლა გაგვიჭირდება კეთილი საქმის გაკეთება.

## ოთო კაჭარავა პოლონურ „ნიჭიერში“ მონაწილეობს

პაროდისტი ოთო კაჭარავა პოლონურ „ნიჭიერში“ მონაწილეობს. მან ჟიურისთვის შესარჩევ ტურში სხვადასხვა ქვეყნის საფეხბურთო მატჩის კომენტატორების პაროდიები შესთავაზა.

პოლონური „ნიჭიერის“ ჟიური ოთოს განსაკუთრებულმა მონაცემებმა მოხიბლა, აპლოდისმენტებით დააჯილდოვა და შემდეგ ტურშიც გაიყვანა.

## სახლის სხვენში ნაპოვნი ნახატი ცნობილი მხატვრის ნაწარმოები აღმოჩნდა

ცნობილი იტალიელი მხატვრის ჯოვანი ბატისტა ტიეპოლოს დაკარგული ნახატი დიდი ბრიტანეთის ნორთჰემპტონშირის საგრაფოს დასახლება ტაუსტერის მახლობლად მდებარე ძველი სახლის სხვენში აღმოაჩინეს.

ნახატი ჰენრიეტა სიტუელმა იპოვა, რომლის ოჯახი უკვე 300 წელია აღნიშნულ სახლს ფლობს. 2020 წელს ის სახლის სხვენს ათვალიერებდა, რომელიც გასაყიდად უნდა გაეტანა და იქ ძველ ნივთს მიაგნო. როგორც კი ქალმა მას შეფუთვა მოხსნა, მაშინვე მიხვდა, რომ მის წინ უჩვეულო ნახატი იყო. მან ოჯახის ისტორია გაიხსენა, რომელიც ჯოვანი ბატისტა ტიეპოლოს ნახატს უკავშირდებოდა და რომელიც 1936 წელს მისი პაპის ბიძაშვილმა, მწერალმა ოსბერტ სიტუელმა შეიძინა. ხოლო სად წავიდა მის მიერ შეძენილი ნახატი, არავინ იცოდა.

– წარმოგიდგენიათ, ცნობილი მხატვარის ასეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები წლების განმავლობაში მტვრით იფარებოდა, – აღნიშნა ქალმა, რომელმაც თავისი ქონება აუქციონის სახლის შემფასებლებს უჩვენა და აღმოჩნდა, რომ ნახატი, რომელიც წლების მანძილზე დაკარგულად ითვლებოდა და ახლა გამოჩნდა, ყველაზე ღირებულს წარმოადგენდა უძველეს სახლში. ის ექსპერტებმა წინასწარ 250 ათას ფუნტ სტერლინგად შეაფასეს.

ნახატს აუქციონზე გასაყიდად 16-17 ნოემბერს გამოიტანენ, რომელიც ქალაქ ბერკშირში გაიმართება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ელისო ვირსალაძის კონცერტი გაუქმებულია

პიანისტ ელისო ვირსალაძის კონცერტი, რომელიც 22 ოქტომბერს იყო დაგეგმილი, ხელოვანის ავადმყოფობის გამო გაუქმებულია. ღონისძიება „თელავის ფესტივალი – მუსიკოსებს“ ფარგლებში იყო დაგეგმილი.

– ქალბატონი ელისო წუხს და ბოდიშს უხდის საზოგადოებას, რომ ამჯერად ვერ ჩამოდის ჯანმრთელობის პრობლემის გამო და გვპირდება, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე ჩაატარებს კონცერტს და მასტერკლასებს თბილისში, – ნათქვამია ფესტივალის განცხადებაში.

## „მასტერშეფი“ ნინო ფოლადაშვილმა დატოვა

კულინარიული შოუს „მასტერშეფის“ ახალი სეზონის მეორე საკონკურსო ტური წარუმატებელი ნინო ფოლადაშვილისთვის აღმოჩნდა.

ლუკა ნაჭყებიას, თეკუნა გაჩეჩილაძის და კონსტანტინე თედელურის გადაწყვეტილებით, გავარდნის კანდიდატებიდან ყველაზე წარუმატებლად დავალებას თავი სწორედ ნინომ გაართვა.

შოუს პირველ ტურში ჟიურომ არც ერთი კონკურსანტი არ გააგდო და მისცა შანსი, მომდევნო ტურში თავი მაქსიმალურად გამოეჩინა, თუმცა ნინომ შეფების გულის მოგება ვერ შეძლო და „მასტერშეფი“ დატოვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი

### 20 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – ნებისმიერი ფინანსური ოპერაციისათვის შეუფერებელი დღეა. არ იაქტიურეროთ. **კურო** – ემოციები შეიკავეთ. აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა. **ტყუპები** – პიროვნული მომხიბვლელობა ახალი საქმიანი კონტაქტების დამყარებაში დაგეხმარებათ. მამაკაცებს პირად ცხოვრებაში პრობლემები გექმნებათ. **კირჩხიბი** – ნებისმიერ საქმეს წარმატებით შეასრულებთ. ნუ ეცდებით ზედმეტი პასუხისმგებლობის აღებას. **ლომი** – გელით საინტერესო შეხვედრები. სასარგებლოა კოლექტიური საქმიანობა. **ქალწული** – წინააღმდეგობრივი დღეა. ფული მომჭირნედ ხარჯეთ. საყიდლებზე წასვლას დღეს არ გირჩევთ. **სასწორი** – შესაძლოა სამსახური ან შემოსავლის წყარო შეგეცვალოთ. მზად იყავით ახალი შემოთავაზებებისათვის. **ღრიანკალი** – შემოქმედებითი დღეა. თვითრეალიზაციას მშვენივრად ახერხებთ. სასიამოვნო იქნება ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობა. **მშვილდოსანი** – კომერციულ სფეროში გიმართლებთ. ნუ გარისკავთ. **თხის რქა** – პატიოსნად იშრომეთ, ნურავის მოატყუებთ. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. **მერწყული** – პერსპექტიული დღეა. გეგმების განხორციელებაში პლანეტები ხელს გიწყობენ. **თევზები** – იმედი გიცრუვდებათ. ნურაფერს დაგეგმავთ. მოვლენები არ დააჩქაროთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ჯვარედინი



**შვეულად:** 1. კათოლიკური მღვდელმსახურება; 2. ელექტრობის წინაღობის საზომი ერთეული; 3. ფირმა „როლექსის“ დამფუძნებელი; 4. ხრახნული კონვეიერი; 5. თავხედური გულახდილობა; 8. ემილ ზოლას რომანი; 9. სამართლის დარღვევა, დანაშაული; 10. ნავთობის საბადო კახეთში; 12. საქართველოში გავრცელებული ძალზე მაგარმერქნიანი, წითელ წიგნში შეტანილი ფოთლოვანი ხე; 13. ფინეთის პარლამენტი; 15. უძველესი, ისტორიული ქალაქი ჯავახეთში.

**თარაზულად:** 1. ქართული ტელეკომპანია; 6. თხევადი საწვავისა და ბალასტის ავზები გემზე; 7. იაპონური აბანო; 10. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად; 11. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 13. მოკლე მისასალმებელი სადღეგრძელო; 14. შავი, წვრილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 16. ეგრისის მთავარი; 17. ლურჯი ფერის ძვირფასი ქვა; 18. ქართველი ავტომრბოლელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*